ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით, წმინდად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის, კომპანია საერთო სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რომელიც დამყარებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური ინეტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება თანხით, რომელიც წარმოადგენს ამ ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო შემთხვევის დადგომისას შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ან ამ ინსტრუმენტის კონტრაქტული ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა (‘12 თვიანი საკრედიტო ზარალი’). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (‘SICR’), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ეს მოქმედია სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე, მაგრამ ითვალისწინებს მოსალოდნელ გადახდილ ავანსებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში („მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, აქტივი გადადის მესამე ეტაპზე და მისი ECL-ი ფასდება როგორც მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების შეფასება.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ‘შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით’ (‘AC’), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL"). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენასთან, მშენებლობასთან ან შექმნასთან, და რომელიც რეალური ღირებულებით არ აღირიცხება, და რასაც მის განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მნიშვნელოვანი დრო სჭირდება (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშრებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებულ აქტივების დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

ფინანსური იჯარის მოთხოვნა. როდესაც კომპანია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა მოიჯარეს, იჯარით გაცემული აქტივი აისახება, როგორც ფინანსური იჯარა და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. ფინანსური იჯარა თავდაპირველად აღიარდება დაწყებისას (როდესაც იწყება იჯარის ვადა) განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის შეთანხმების გაფორმების თარიღსა და მხარეების მიერ იჯარის ძირითადი დებულებების დაცვის ვალდებულების აღების თარიღს შორის უწინარესი).

მთლიან მოთხოვნასა და დისკონტირებულ ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში ნეტო საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგებას. იჯარის თაობაზე მოლაპარაკებასა და შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება ფინანსური იჯარის მოთხოვნის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის ოდენობას. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოცემული წლის მოგება-ზარალში აისახება.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზოგადი მოდელის შესაბამისად/გამარტივებული მიდგომის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება ისე, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და ავანსებისთვის და აღიარდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით, მოთხოვნის წმინდა საბალანსო ღირებულების ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებში ასახულია ფულადი ნაკადები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საიჯარო აქტივების მიღებისა და გაყიდვის შედეგად.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. როდესაც კომპანია არის მოიჯარე და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა კომპანიას, საიჯარო აქტივები კაპიტალიზდება ძირითად საშუალებებში იჯარის დაწყებისას, საიჯარო აქტივების რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თითოეული საიჯარო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი განაკვეთი დასაფარ ფინანსური ნაშთზე. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, სამომავლო ფინანსური ხარჯების გარეშე, აისახება სხვა ნასესხებ სახსრებში. საპროცენტო ხარჯი მოცემული წლის მოგება-ზარალს დაერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარის ფარგლებში შეძენილ

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივებს ცვეთა ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ კომპანია არ არის საკმარისად დარწმუნებული, რომ იგი მიიღებს აქტივის საკუთრებას, იჯარის ვადის დასრულებისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე და შედგება შესყიდვის ფასისგან, წარმოებისა და გადამუშავების საფასურისგან, და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება საკუთარ კაპიტალში, შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც ადგილი ექნება მავალდებულებელ მოვლენას, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა, კონკრეტული ოპერაციის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილის შეფასებით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ამონაგები კონტეინერების, საერთო ტვირთისა და დამატებითი მომსახურებიდან. ამონაგები კონტეინერების და საერთო ტვირთის ოპერირებიდან, ისევე, როგორც ამონაგები დამატებითი მომსახურების გაწევიდან, აღიარდება მოვლენებზე დაყრდნობით. ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ და ეფუძნება დატვირთვა-ჩამოტვირთვის სიებს, ტერმინალის დატოვების ჩანაწერებს (TDRs), შემაჯამებელ ცხრილებს და ა.შ.

ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან. ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან აღიარდება, როდესაც ხომალდი შედის ნავსადგურში (ნავმისადგომთან). ამონაგები აღიარდება წმინდად, ფასდათმომების გამოკლებით.

ამონაგები იჯარიდან. კომპანია იღებს საარენდო შემოსავალს იჯარით გაცემული ნავმისადგომებიდან საოპეარციო იჯარის ქვეშ. იჯარის ამონაგები საოპერაციო იჯარიდან აღიარებულია წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში, იმის მიუხედავად, თუ როდის არის გადახდის ვადა.

ამონაგები სახმელეთო ოპერაციებიდან შედგება სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ამონაგების ნაკადიდან, რომელიც შესაძლებელია გაიყოს მოვლენასა და დროსთან დაკავშირებულ მომსახურებებს შორის. მოვლენასთან დაკავშირებული მომსახურებები მოიცავს კონტეინერების საწყობის ოპერაციებს და ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევისთანავე. დროსთან დაკავშირებული მომსახურებები მოიცავს კონტეინეტერების და საერთო ტვირთის საწყობებს, საავტომობილო პარკინგსა და ტერმინალის მომსახურების საფასურის ამონაგებს. დროსთან დაკავშირებული მომსახურებები აღიარდება ყოველთვიური ამონაგების საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა (“FVTPL”), აღიარდება სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის“ მუხლში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება, რომ გრანტი მიღებული იქნება და კომპანია შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას.

ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები აისახება გრძელვადიან ვალდებულებებში, გადავადებული შემოსავლის სახით და მოგება-ზარალზე დაკრედიტდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. დანახარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გადავადდება და წლის მოგება-ზარალში აღიარდება სხვა საოპერაციო შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმ დანახარჯებთან შესაბამისობისათვის, რომელთა კომპენსირებაც არის გრანტის *მიზანი.*

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, რათა განსაზღვროს ფინანსური აქტივების და საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და უკუგება არსებითად არის თუ არა გადაცემული პარტნიორებზე, კერძოდ რომელი რისკები და უკუგებაა ყველაზე მნიშვნელოვანი და რა არის არსებითად ყველა რისკი და უკუგება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ასევე გაანალიზა კომპანიის სამომავლო ოპერაციები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 24-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის რეიტინგებს, ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებს. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საკუთარი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, იყო უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რეიტინგი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფომრაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. კომპანია საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევით ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე ექნებოდა შემდეგი გავლენა: გაზრდა 2,086 ათასი ლარით ან შემცირება 1,695 ათასი ლარით (2017 წელი: გაზრდა 2,224 ათასი ლარით ან შემცირება 1,875 ათასი ლარით).

ძირითადი საშუალებების შეფასება. კომპანიის ძირითადი საშუალებები რეალური ღირებულებით არის შეფასებული შპს KPMG საქართველოს მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით. აქტივის კლასებისთვის, იქ სადაც ბაზრის მონაცემები ხელმისაწვდომია, შემფასებელმა გამოიყენა საბაზრო მიდგომა, პირდაპირი საბაზრო შედარების მეთოდის გამოყენებით.

საბაზრო მიდგომა გვაწვდის ღირებულების მინიშნებას აქტივის შედარების საშუალებით იდენტურ ან შესადარის (რომელიც მსგავსია) აქტივთან, რომლის ფასის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია. კომპანიის მიწის ნაკვეთებისა და არასპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული იყო საბაზრო მიდგომა. დანარჩენი აქტივებისთვის, შესადარისი საბაზრო მონაცემების ნაკლებობისა და საკუთრების ბუნების გამო, რეალური ღირებულება დადგინდა ფასის მიდგომის საფუძველზე

ღირებულების მიდგომა გვაწვდის ღირებულების მითითებას აქტივის ამჟამინდელი ჩანაცვლების ან რეპროდუქციის ღირებულების გამოანგარიშების მეშვეობით და ახორციელებს ფიზიკური გაუარესებისა და სხვა შესაბამისი მოძველების გამორიცხვას. ღირებულების მიდგომა გამოიყენებოდა კომპანიის სპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება (DRC) - საგნის შექმნის ღირებულების ოდენობა, გაანალიზებული სამიზნის მსგავსი, დადგინდა ანალიზის თარიღის დღეს არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, შემცირებული ყველა შესაბამისი ცვეთისა და გაუფასურების ფორმებით.

საბოლოოდ, შემოსავლის მიდგომა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ ბაზარზე აქტივისთვის გადახდილი ღირებულება განისაზღვრება მომავალში მის მიერ ფულადი სახსრების წარმოქმნის შესაძლებლობით, გამოყენებულ იქნა კომპანიის შეფასებული სპეციალიზირებული აქტივის ეკონომიკური ცვეთის ოდენობის განსასაზღვრად. შემოსავლის მიდგომის ფარგლებში მოპოვებული შედეგი წარმოადგენს ზედა ზღვარს სპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულებისათვის.

ამ ანალიზის შედეგად, საანგარიშო თარიღისათვის, კომპანიის აქტივები არ ჩაითვალა ეკონომიკურად მოძველებულად.

ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საკუთრების ღირებულების დადგენას შემოსავლის მიდგომით, არის ის მოსაზრებები, რომელიც კავშირშია შესაძლო ამონაგებთან და შესაფერის დისკონტირების განაკვეთებთან. შეფასებები რეგულარულად ადარებს საბაზრო ინფორმაციას და კომპანიის რეალურ ტრანზაქციებს და ასევე ბაზრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასაც. მოსაზრებებში გონივრულად შესაძლო ცვლილებების ერთობლივ შეფასებაზე გავლენა , ყველა სხვა მუდმივ შესადარისებთან ერთად, შედგეგია:

- WACC შეფასება იყო 11.46%. თუ ეს მაჩვენებელი 1%-ით გაიზრდებოდა / შემცირდებოდა, ქონების გამოყენების ღირებულება იქნებოდა 84,660 ათასი ლარით ნაკლები/68,430 ათასი ლარით მეტი.
- თუ DCF მოდელის შეფასებული ამონაგები გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 5%-ით, ქონების გამოყენების ღირებულება იქნებოდა 101,727 ათასი ლარით მეტი/101,727 ათასი ლარით ნაკლები.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები“ - მიღება. კომპანიამ ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ არჩია შესადარისი ციფრების არგადაანგარიშება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები* - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-*3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 28-ე შენიშვნაში.*

ბასს 39-ის შესაბამისად შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები და ახალი თანხები არსებითად არ არის განსხვავებული ფასს 9-ის შემოღებით თარიღის, 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით, რადგან ახალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ამგარიშგებაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. მე-13 შენიშვნაში განმარტებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ყველა კატეგორია ხელახლა კლასიფიცირდა ბასს 39-ის „სესხები და მოთხოვნების“ (“L&R”) კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით იყო გატარებული. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან” მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გდასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). არ ყოფილა ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანიისთვის შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“ (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

- ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბასს-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ გადაწყვიტა ახალი სტანდარტის მიღება მისი მიღების სავალდებულო თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით, შესადარისების დამტკიცების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარისთვის შეფასდება ახალ წესებზე გადასვლისას, თითქოს ისინი სულ გამოიყენებოდა. ყველა სხვა გამოყენების უფლებით აქტივები ფასდება იჯარის ვალდებულების ოდენობით, მიღებისას (კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი თუ დაგროვილი დანახარჯებისთვის). კომპანიამ შეაფასა ახალი სტანდარტის გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე როგორც არა არსებითი.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

2018 წლის 31 დეკემბერს საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო (2017 წელი: 100 საბაზისო პუნქტით დაბალი), სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 54 ათასი ლარით (2017 წელი: 231 ათასი ლარით) მეტი, ძირითადად შედარებით დაბალი საპროცენტო ხარჯით ცვალებადგანაკვეთიან ვალდებულებებზე. საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო (2017 წელი: 100 საბაზისო პუნქტით მაღალი) სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 51 ათასი ლარით (2017 წელი: 231 ათასი ლარით) ნაკლები, ძირითადად, შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯით ცვალებადგანაკვეთიან ვალდებულებებზე. მგრძნობელობა გამოთვლილია მხოლოდ ფინანსური იჯარის ვალდებულებებისთვის (2017: მხოლოდ ნასესხები სახსრებისთვის).

კომპანია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს თავისი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთები შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღებით, ხელმძღვანელი პირების მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე:

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2018			2017		
წლიური %.	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7%	1%	-	7%	1%	-
გაცემული სესხები	-	-	-	-	0.51%	-
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	4.64%	-

ზემოთ მოცემულ ცხრილში გამჟღავნებული საპროცენტო განაკვეთები ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნიშანი „-“ ნიშნავს, რომ კომპანიას არ გააჩნია შესაბამისი აქტივი ან ვალდებულება მოცემულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 13).

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს,მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ-გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ფინანსური იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 15)	(712)	-	-	(4,805)	(5,518)	(11,035)
სავაჭრო დავალიანებები (შენიშვნა 17)	(2,221)	-	-	-	-	(2,221)
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**(2,933)**	**-**	**-**	**(4,805)**	**(5,518)**	**(13,256)**

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	-	(3,603)	(3,422)	-	-	(7,025)
სავაჭრო დავალიანებები (შენიშვნა 17)	(473)	-	-	-	-	(473)
ფინანსური მომსახურების დავალიანება	-	(23,330)	-	-	-	(23,330)
სულ სამომავლო გადახდები, ძირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	**(473)**	**(26,933)**	**(3,422)**	**-**	**-**	**(30,828)**

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კაპიტალის ოდენობა, რომელიც კომპანიამ მართა 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით იყო 467,420 ათასი ლარი (2017: 305,443 ათასი ლარი).

26 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ა) რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, ისინი, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2018				2017			
ათასი ლარი	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ	მე-2 დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
არაფინანსური აქტივები								
- მიწა და შენობა-ნაგებობები	-	-	252,430	252,430	-	-	216,730	216,730
- ხომალდები, ამწეები და კონტეინერები	-	-	14,315	14,315	-	-	10,784	10,784
- საწარმოო ობიექტები, მოწობილობები და ინფრასტრუქტურა	-	-	85,157	85,157	-	-	62,825	62,825
სულ აქტივები რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები	**-**	**-**	**351,902**	**351,902**	**-**	**-**	**290,339**	**290,339**

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2018 წლის 31 დეკემბერი				2017 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
- სავაჭრო მოთხოვნები	-	8,591	-	8,591	-	7,275	-	7,275
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	106	-	106	-	73	-	73
- ფინანსური იჯარის მოთხოვნები	-	31,518	-	31,518	-	30,349	-	30,349
სულ აქტივები	**-**	**40,215**	**-**	**40,215**	**-**	**37,697**	**-**	**37,697**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- ვადიანი სესხი	-	-	-	-	-	7,025	-	7,025
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო დავალიანებები	-	2,221	-	2,221	-	473	-	473
- ფინანსური იჯარის მოთხოვნები	-	11,035	-	11,035	-	-	-	-
- სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	998	-	998	-	1,799	-	1,799
სულ ვალდებულებები	**-**	**14,254**	**-**	**14,254**	**-**	**9,297**	**-**	**9,297**

რეალური ღირებულები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ზოგადად, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში.

შეფასების მიზნებისათვის 2017 წ. 31 დეკემბერს ფასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“, შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (a) სესხები და მოთხოვნები; (b) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (c) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (d) ფინანსური აქტივები FVTPL-ით (“FVTPL”). FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვე-კატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ გამიზნული. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ყალიბდება როგორც ცალკე კატეგორია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი 2017 წლის 31 დეკემბერს შევიდა სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში შევიდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

28 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვცელდება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით,ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არსებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასანზღვრადი გადახდებით, გარდა მათისა, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვაც კომპანიას აქვს განზრახული. კომპანიის სესხები და მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს“ და „ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს“.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს“ და „ნასესხებ სახსრებს“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები. გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები“), რომელიც მოხდა ფინანსური იჯარის მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

28 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანია თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის მინიშნებით, რაც ფასდება ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური

მმართველობითი ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა 2018

1. საწარმოს ბიზნესის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია: სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი 1999 წელს და 2004 წლის 27 სექტემბერს, რეორგანიზების შედეგად გარდაიქმნა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს). 2008 წლის 3 აპრილს, კომპანია რეორგანიზების შედეგად გარდაიქმნა ქართულ რეგულაციებთან შესაბამის სააქციო საზოგადოებად და რეგისტრირებულია ფოთის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდით: 215080999.

ძირითადი საქმიანობა: სტრატეგიულად განლაგებული ფოთის საზღვაო ნავსადგური საქართველოში ყველაზე დიდი ნავსადგურია, რომელიც ამუშავებს თხევად და მშრალ ტვირთს, კონტეინერებსა და ბორნებს. მას 15 ნავმისადგომი აქვს, ნავმისადგომის ჯამური სიგრძით 2,900 მეტრი. ნავსადგური ამჟამად წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის გასასვლელს ევროპაში საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის და იდეალურადაა განლაგებული იმისათვის, რომ სამომავლოდ გახდეს ცენტრალური აზიის სავაჭრო საკვანძო ნავსადგური.

შემოთავაზებული მომსახურების გაყიდვები. კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურებების ჩამონათვალი შემდეგია:

- საზღვაო და სანავმისადგომო
- გემიდან და გემზე ტვირთის გადმოტვირთვა და დატვირთვა
- კონტეინერების სასაწყობე ტერიტორიის მართვა
- ტვირთისა და კონტეინერების შენახვა
- დოკინგი
- ბორანი
- ტრანსპორტის გადამზიდი ბორანი

15 ნავმისადგომიდან 8 საოპერაციო იჯარით არის გაცემული და ამით კომპანია მის საიჯარო შემოსავალს გამოიმუშავებს

ათასი ლარი

	ამონაგების კატეგორია	**ოდენობა**
1	ამონაგები კონტეინერებიდან და საერთო ტვირთიდან	74,443
2	ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან	37,951
3	ამონაგები სასაწყობე ტერიტორიის მართვიდან	16,935
4	ამონაგები იჯარიდან	16,622
5	ამონაგები დამატებითი მომსახურებებიდან	4,098

წარმადობა. ფოთის საზღვაო ნავსადგურს გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა ჰქონდა და ამ ზრდის გაგრძლების საფუძველი ისევ არის.

2018 წელს, კომპანიამ აღრიცხა საოპერაციო ამონაგები 150,049,729 ლარის ოდენობით. წმინდა მოგების ოდენობამ 57,800,000 ლარი შეადგინა, რაც 3%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით. თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 858, მათ შორის 93 ქალი (2017: 891, მათ შორის 93 ქალი)

ამონაგები 8%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით და შესაბამისობაშია გაზრდილი მოცულობის ბრუნვასთან.

2018 წელს ბრუნვის გაზრდის მთავარი მიზეზებია:

1. რეგიონალურმა სტაბილურობამ გააუმჯობესა საქართველოსა და კავკასიის დერეფანში ტვირთის გადაადგილების საფუძვლები;
2. საწვავის ფასის ზრდამ ნავთობპროდუქტების მწარმოებელ ქვეყნებს მეტი საშუალება მისცა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებისთვის, რის შედეგადაც გაიზარდა კომერციული გარიგებების რაოდენობა;
3. ნავსადგურის შესაძლებლობების გაზრდამ და მომსახურების ხარისხის გამოსწორებამ, გააუმჯობესა მომხმარებელთა ფასეული წინადადებები და ამით დამატებითი ბიზნესები მოიზიდა.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები:

ნავსადგურის მისწრაფების, გახდეს კავკასიის რეგიონის მთავრი კარიბჭე, მხარდასაჭერად კომპანიამ წარადგინა ამჟამინდელი ლოკაციის ჩრდილოეთით გაფართოების პროექტი. პროექტი მოიცავს დამატებითი, 1,600 მეტრიანი ტალღთმტეხის, 700 მეტრიანი სანაპირო ნავმისადგომისა და 25 ჰექტარი სასაწყობე ტერიტორიის მშენებლობას თანამედროვე სამუშაო მოწყობილობებითა და ზედსტრუქტურებით.

გაფართოების პროექტი მიმართულია ორივე, ნაყარი მშრალი და საკონტეინერო ტვირთებისკენ და საშუალებას მისცემს ნავსადგურს მოემსახუროს 250 მ. საერთო სიგრძის და 13.5 მ. სიღრმის წყალშიგის მქონე გემებს და ამით ნავსადგურს საშუალებას ეძლევა გაუმჯობესებული სამომხმარებლო წინადადებების შეთავაზებისთვის უფრო დიდი ტევადობის გემებისა და ოპტიმიზირებული დამუშავების ღირებულების გამოყენებისა.

პროექტის მშენებლობის დაწყების თარიღი 2020 წლის დასაწყისია, მოსალოდნელი დასრულების თარიღი 2021.

3. საწარმოს მიერ შესრულებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა:

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების აქტივობებში.

4. საწარმოს ფილიალების შესახებ ინფორმაცია:

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და მისი ადგილმდებარეობა ფოთში, საქართველოშია.

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:

	‘000 ლარი	**2018**	**2017**	**განსხვავებების განმარტება**
1	ამონაგები	150,049	139,403	გაზრდილი ბრუნვა
2	მთლიანი შემოსავალი	91,815	87,870	გაზრდილი ბრუნვა
3	წმინდა შემოსავალი	57,800	55,856	გაზრდილი ბრუნვა
4	მთლიანი შემოსავლის მარჟა	61%	63%	სარეალიზაციო ღირებულების ზრდა

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდგეგია:

		2018	2017
1	გემების შემოსვლის რაოდენობა	სულ: 768 PSPC: 457 მოიჯარეები: 311	სულ: 927 PSPC: 515 მოიჯერეები: 412
2	TEU**-ს რაოდენობა	363,936	318,762
3	თანამშრომელთა რაოდენობა 31 დეკემბერს	832	891
4	საერთო ტვირთის ტონაჟი	941,728	1,275,910

***TEU= ოცფუტიანის ექვივალენტი კონტეინერი*

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 800-დან 900-მდე ფარგლებშია. კომპანიას გააჩნია კარგი სტრუქტურული დასაქმების პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები არიან კომპანიის მიერ დასაქმებული.

როგორც დამსაქმებელი, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური შესანიშნავ დაწინაურების შესაძლებლობას, დადებით სამუშაო გარემოსა და კონკურენტუნარიან ხელფასს სთავაზობს შრომისმოყვარე ადამიანებს იქ, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული.

(ii) ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. კომპანიამ ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობა ჩამოაყალიბა კლიენტებთან, ერთგულების და კლიენტზე ზრუნვის გამოხატვით.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის ბუღალტერიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, რათა საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც კომპანიაზე გავლენას ახდენენ.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით:

2018 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები:

2018 წელს კომპანია დათანხმდა უკეთეს საკრედიტო პირობებს გარკვეული რაოდენობის მომწოდებლებთან და შედეგად საკრედიტო ზღვრის პერიოდი გაიზარდა 0-დან 30 დღემდე.

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები:

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა საბანკო გადარიცხვებით იწარმოება, კლიენტისთვის მომსახურების გაწევამდე; აქედან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღებას არანაირი დაბრკოლება არ აქვს. საკრედიტო პირობები კლიენტებთან 0-დან მიმდინარე თვეს+15 დღის ფარგლებშია.

9. მთავარი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოოს მიზანი და ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს საკრედიტო რისკების გამოვლენას და მონიტორინგს. 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას არ ჰყავდა პარტნიორი, რომელსაც ჰქონდა კომპანიის კაპიტალის 10%-ზე მეტი ლარი აგრეგირებული მოთხოვნების ნაშთი.

კომპანიის საბანკო დეპოზიტები ორ ბანკშია განთავსებული, რითაც კომპანიას გააჩნია შეზღუდული საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

საბაზრო რისკი

კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება (ა) უცხოური ვალუტის ღია პოზიციების, (ბ) პროცენტით დატვირთული აქტივების და ვალდებულებების (გ) წილობრივი პროდუქტებისგან, რომლებიც ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო მოძრაობებს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს რისკების ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება იყოს მიღებული, და მასზე ხორციელდება მონიტორინგი ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზღვრებს გარეთ მოვლენების და უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობების მიზეზით ზარალს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ეფუძნება ფაქტორში ცვლილებას მაშინ, როდესაც სხვა ფაქტორები უცვლელია. ნაკლებსავარაუდოა რომ პრაქტიკაში ასე მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებები.

პოლიტიკური რისკი

კომპანიის საქმიანობის სპეციფიურობის გამო, კომპანიის სამომავლო წარმადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში პოლიტიკურ სიტუაციასთან.

სავალუტო რისკი

არის ის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გამო. კომპანიას გააჩნია დომინანტი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევების გავლენის რისკი მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2018 წლის 31 დეკემბერს			2017 წლის 31 დეკემბერს		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონატარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	37,872	11,058	26,814	2,722	30,419	(27,697)
ევრო	8	672	(664)	33	7	26
სულ	**37,880**	**11,730**	**26,150**	**2,755**	**30,426**	**(27,671)**

კლაუს ჰოლმ ლოურსენი
მმართველი დირექტორი

ანდრეას ჰოხი
ფინანსური დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190991465
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.08.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	597999990
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28940754982319

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაერთ აგვისტოს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ზეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 112.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 114 (ასთოთხმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


შპს "ნოტარიუსი"
საქართველო
GEORGIA NOTARY
01019054805

სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური და მისი საქმიანობა 5
2 კომპანიის საოპერაციო გარემო 5
3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 6
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები 21
6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები 22
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 26
8 ძირითადი საშუალებები 28
9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 29
10 ფინანსური იჯარის მოთხოვნები 30
11 მარაგები 30
12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 33
14 საწესდებო კაპიტალი 33
15 ფინანსური იჯარის ვალდებულებები 34
16 გადავადებული შემოსავალი 34
17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 35
18 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით 35
19 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 36
20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები 36
21 ფინანსური შემოსავალი 36
22 ფინანსური დანახარჯები 37
23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 37
24 ფინანსური რისკის მართვა 38
25 კაპიტალის მართვა 44
26 რეალური ღირებულების შეფასება 45
27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით 47
28 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე 47

სხვა ინფორმაცია - მმართველობითი ანგარიშგება - საქმიანობის მიმოხილვა 2018

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობით ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობით ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობითი ანგარიშგების

გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობითი ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობით ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველოს სახელით (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

5 ივნისი 2019
თბილისი, საქართველო

სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	434,086	292,395
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსები		2,463	2,836
არამატერიალური აქტივები		45	25
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	9	11,261	7,199
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	10	26,243	25,389
სულ გრძელვადიანი აქტივები		**474,098**	**327,844**
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	11	4,714	2,190
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	9,207	9,481
სხვა საგადასახადო მოთხოვნები, წმინდა		-	496
ფინანსური იჯარის მოთხოვნები	10	5,275	4,960
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	10,531	11,444
სულ მიმდინარე აქტივები		**29,727**	**28,571**
სულ აქტივები		**503,825**	**356,415**
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	14	196,370	196,370
გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი დეფიციტი		11,470	5,665
გადაფასების რეზერვი		252,112	98,508
სხვა რეზერვები		7,468	4,900
სულ კაპიტალი		**467,420**	**305,443**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	15	10,323	-
გადავადებული შემოსავალი	16	10,858	7,951
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**21,181**	**7,951**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები		-	7,025
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	15	712	-
გადავადებული შემოსავალი	16	135	398
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	5,861	3,884
სხვა საგადასახადო დავალიანებები, ნეტო		639	-
დივიდენდების დავალიანებები		-	23,330
მიმდინარე მოგების გადასახადის დავალიანება		7,877	8,384
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**15,224**	**43,021**
სულ ვალდებულებები		**36,405**	**50,972**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**503,825**	**356,415**

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2019 წლის 5 ივნისს.

კლაუს ჰოლმ ლოურსენი
მმართველი დირექტორი

ანდრეას ჰოხი
ფინანსური დირექტორი

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 48 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	18	150,049	139,403
სერვისის თვითღირებულება	19	(58,234)	(51,533)
საერთო მოგება		**91,815**	**87,870**
სხვა საოპერაციო (ხარჯი)/ მოგება		(1,059)	1,438
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(30,750)	(29,518)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შემოსულობა/(ზარალი)		972	(3,567)
საოპერაციო მოგება		**60,978**	**56,223**
ფინანსური შემოსავალი	21	6,777	7,587
ფინანსური დანახარჯები	22	(985)	(100)
მეკავშირე საწარმოების შედეგების წილი	9	1,494	1,558
მოგება დაბეგვრამდე		**68,264**	**65,268**
მოგების გადასახადის ხარჯი		(10,464)	(9,412)
წლის მოგება		**57,800**	**55,856**
სხვა სრული შემოსავალი:			
მუხლები, რომელიც არ რეკლასიფიცირდება მოგებასა და ზარალში:			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	8	155,492	-
ძირითადი საშუალებების გადაფასების შემცირება	8	(1,887)	(131)
გაუნაწილებებლი მოგების/დაგროვილი დეფიციტის გადაფასების რეკლასიფიკაცია		1,887	131
მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი	9	2,568	-
წლის სხვა სრული შემოსავალი		**158,060**	**-**
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**215,860**	**55,856**

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		**196,370**	**98,639**	**4,900**	**56,820**	**356,729**
წლის მოგება		-	-	-	55,856	55,856
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-	-
სულ 2017 წლის სხვა სული შემოსავალი		-	-	-	55,856	55,856
გადაფასების ნამეტის გადატანა		-	(131)	-	131	-
გამოცხადებული დივიდენდები	14	-	-	-	(107,142)	(107,142)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**196,370**	**98,508**	**4,900**	**5,665**	**305,443**
წლის მოგება		-	-	-	57,800	57,800
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	155,491	2,568	-	158,059
სულ 2018 წლის სხვა სრული შემოსავალი		-	155,491	2,568	57,800	215,859
გადაფასების ნამეტის გადატანა		-	(1,887)	-	1,887	-
გამოცხადებული დივიდენდები	14	-	-	-	(53,882)	(53,882)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		**196,370**	**252,112**	**7,468**	**11,470**	**467,420**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 48 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		68,264	65,268
შესწორებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	22,415	22,187
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	8	3,357	467
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	12	2	110
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი/ (შემოსულობა), ნეტო		3,055	(38)
ფინანსური შემოსავალი	21	(6,777)	(7,587)
საპროცენტო დანახარჯი შემცირებული კაპიტალიზირებული ფინანსური ხარჯით	22	1,086	636
მიმდინარე მშენებლობის ჩამოწერა	8	863	127
სხვა არაფულადი საოპერაციო მუხლები		(1,857)	(973)
უცხოური ვალუტის გაცვლის სხვაობები		(1,073)	3,031
მეკავშირე საწრამოების შედეგების წილი		(1,494)	(1,558)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		**87,841**	**81,670**
სავაჭრო მოთხოვნების შემცირება		309	2,876
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(1,495)	576
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,871	(1,068)
საგადასახადო დავალიანებების ზრდა		1,135	2,450
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		**1,820**	**4,834**
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,792)	-
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		1,205	2,123
გადახდილი პროცენტი		(1,086)	(636)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**79,988**	**87,991**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	8	(8,687)	(4,658)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		6,941	108
ფინანსური იჯარის მოთხოვნებიდან მიღებული შემოსულობა		5,375	5,173
დაკავშირებული მხარეებისგან სესხების დაბრუნება		-	9,342
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**3,629**	**9,965**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
ფინანსური იჯარის ვალდებულებების გადახდები		(402)	-
ნასესხები სახსრების გადახდა		(6,924)	(6,888)
კომპანიის აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდები	14	(76,136)	(84,256)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(83,462)**	**(91,144)**
ფულად სახსრებზე და მათ ეკვივალენტებზე უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა		(1,068)	(2,287)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	**11,444**	**6,919**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	**10,531**	**11,444**
მნიშვნელოვანი არაფულადი საინვესტიციო ტრანზაქცია			
ფინანსური იჯარის ვალდებულებების აღიარება	15	10,485	-

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5 - 48 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1 კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ('ფასს') მიხედვით, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურისთვის (შემდგომში „კომპანია").

ფოთის საზღვაო ნავსადგური დაარსდა XIX საუკუნეში და მისი რეკონსტრუქცია და გაფართოება დაიწყო 1899 წელს, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა ნიკო ნიკოლაძემ, ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ. 2018 წელს, ნასადგურმა 160 წლის იუბილე აღნიშნა. ამჟამად, ის აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და ახორციელებს შიდა და გარე საწყობების, საავტომობილო და სარკინიგზო გზების, სადისტრიბუციო ქვესადგურისა და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის ოპერირებას. ნავსადგურს გააჩნია რვა სატრანზიტო ნაგებობა 15 ნავმისადგომზე, ახორციელებს გემების მომსახურებას, ტვირთისა და კონტეინერების დამუშავებას, სადისპეტჩერო საქმიანობას, სასაწყობეების, ნავსადგომების არენდასა და ტერმინალის მომსახურებას და ა.შ. ფოთში, საქართველოში.

1999 წელს, კომპანია დარეგისტრირდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი და 2004 წლის 24 სექტემბერს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, გახდა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში მყოფი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია (შპს). 2008 წლის 3 აპრილს, კომპანია, განხორციელებული რეორგაინზაციის შედეგად, გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და რეგისტრირებულია ფოთის სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 215080999.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100% წილის მფლობელი იყო APM Terminals BV, ნიდერლანდები (APMTBV) და საბოლოო მაკონტროლებელი - A.P. Moller-Maersk ჯგუფი.

კომპანის 100% საკუთრებაში არსებული ერთადერთი შვილობილი კომპანია, შპს Yacht Club-ი, ლიკვიდირებულია 2018 წელს.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრირებული ოფისი და საქმიანობის ადგილია დავით აღმაშენებლის ქუჩა #52, ფოთი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში ("GEL"), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. გარდა ფასს 9-ისა და ფასს 15-ის, რომლებიც ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან, მიღებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა, აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხილეთ მე-5 შენიშვნა კომპანიის მიერ მიღებული ახალი და შესწორებული სტანდარტებისთვის). ფინანსურ ინსტრუმენტებსა და ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებით 2017 წლის 31 დეკემბრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოებია ისინი, რომლებზეც კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (პირდაპირ ან ირიბად), მაგრამ არ აკონტროლებს მათ, და, როგორც წესი, კომპანია მათი ხმის უფლების 20-დან 50 პროცენტამდე ფლობს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიცია აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის კაპიტალ-მეთოდით და მათი საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აღიარდეს ინვესტორის წილი შეძენის თარიღის შემდეგ ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში. მეკავშირე საწარმოებიდან მიღებული დივიდენდების ოდენობით მცირდება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება. მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივებში კომპანიის წილის შეძენის შემდგომი სხვა ცვლილებები შემდეგნაირად აღიარდება: (i) კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში ან ზარალში აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში, მეკავშირე საწარმოს შედეგებში წილის სახით; (ii) კომპანიის წილი სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და მისი წარდგენა ხდება ცალკე; (iii) კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოების წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებაში ყველა სხვა ცვლილება, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, „წილი მეკავშირე საწარმოს შედეგებში“-ს ფარგლებში.

მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი, რომელიც მეკავშირე საწარმოს ძირითადი საშუალებების გადაფასების შემოსულობისგანაა გამოწვეული, აღირიცხება „სხვა რეზერვებში“, კომპანიის კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

თუმცა, მაშინ, როცა კომპანიის წილი მეკავშირე საწარმოების ზარალში ტოლია ან აღემატება კომპანიის მთიან წილს მეკავშირე საწარმოებში, რაც ასევე მოიცავს ნებისმიერ სხვა არაუზრუნველყოფილ მოთხოვნებს, კომპანია აღარ აღიარებს შემდგომ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას აღებული აქვს მოვალეობები ან განხორციელებული აქვს გადახდები ერთობლივი საქმიანობის სახელით.

კომპანიასა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება კომპანიის მეკავშირე საწარმოებში წილის ოდენობამდე; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია წარმოქმნის გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

შვილობილი საწარმოების, მეკავშირე საწარმოების ან ერთობლივი საქმიანობის გასხვისება. როდესაც კომპანიას აღარ გააჩნია კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა, საწარმოში დარჩენილი ნებისმიერი წილი კონტროლის დაკარგვის თარიღით ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით. საბალანსო ღირებულების ცვლილება კი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება მეკავშირე საწარმოში, ერთობლივ საქმიანობაში ან ფინანსურ აქტივში დარჩენილი წილის შემდგომი აღრიცხვის მიზნებისათვის. ამასთან, ნებისმიერი თანხა, რომელიც ადრე

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აღიარდა სხვა სრულ შემოსავალში მოცემულ საწარმოსთან მიმართებით, აღირიცხება ისე, თითქოს კომპანიამ უშუალოდ გაასხვისა დაკავშირებული აქტივები ან ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ სხვა სრულ შემოსავალში ადრე აღიარებული თანხები რეციკლირდება მოგებაში ან ზარალში. როდესაც მეკავშირე საწარმოში საკუთრების წილი მცირდება, მაგრამ შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი გავლენა, მაშინ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული თანხების პროპორციული წილი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, საჭიროებისამებრ.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი ("₾").

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - 'ფინანსური დანახარჯები'. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში - როგორც „უცხოური ვალუტის შემოსულობები, შემცირებული ზარალით". რეალური ღირებულებით შეფასებული არა-ფულადი მუხლები უცხოურ ვალუტაში, კაპიტალ ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით ვალუტის გაცვლის კურსით.

უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა არა-ფულად მუხლებზე ფასდება რეალური ღირებულებით უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობა ან ზარალი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ოფიციალური ვალუტის გაცვლის კურსი, საქართველოს ბანკის მონაცემების მიხედვით, იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 1 აშშ დოლარი=2.5922 ლარი და 1 ევრო=3.1044 ლარს). 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის საშუალო ვალუტის გაცვლის კურსი იყო 1 აშშ დოლარი=2.5345 და 1 ევრო =2.9913 ლარს (2017 1 აშშ დოლარი = 2.5086 ლარს და 1 ევრო= 2.8322 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები, მიმდინარე მშენებლობების გარდა, აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. მიმდინარე მშენებლობა ფასდება თვითღირებულებით.

შენობა-ნაგებობები, გარდა მიმდინარე მშენებლობებისა, ექვემდებარება საკმარისი პერიოდულობით გადაფასებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ საბალანსო ღირებულებისაგან, რომელიც განისაზღვრებოდა რეალური ღირებულებით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გადაფასებისას მიღებული საბალანსო ღირებულების ზრდა მიეკუთვნება სხვა სრულ შემოსავალს და საკუთარ კაპიტალში ზრდის გადაფასების ნამეტს. ყველა დანარჩენი შემცირებები აისახება მოცემული წლის მოგება-ზარალში. საკუთარ კაპიტალში ასახული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადაიტანება მაშინ, როდესაც რეალიზდება გადაფასების რეზერვი, აქტივის ხმარებიდან ამოღების ან გასხვისების შედეგად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ინდიკატორი. თუ მსგავსი ინდიკატორი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, სანამ არ გადააჭარბებს გადაფასების ნამეტს კაპიტალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასებში ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის დაკორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, საოპარაციო შემოსავალს ან დანახარჯებში.

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების მუხლებს ცვეთა ერიცხებათ მათი დამონტაჟების და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. შიდა მშენებლობის აქტივებთან დაკავშირებით, აქტივის გამოსაყენებლად მზად ყოფნის დღიდან (მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება). სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადანაწილებით მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
შენობა - ნაგებობები	1-დან 68 წლამდე
გემები, ამწეები და კონტეინერები	1-დან 28 წლამდე
წარმოების ობიექტები, აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა	1-დან 68 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გახვისებიდან - გასხვისებასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, როგორც იქნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სახით. არამატერიალური აქტივები კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზია	3 წელი

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაუფასურების შემთხვევაში, არამატერიალური აქტივების ღირებულება ჩამოიწერება გამოყენების ღირებულებასა და გასხვისების დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდეს ღირებულებამდე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის ნებაყოფლობითი ოპერაციისას, ბაზრის მონაწილეთა შორის შეფასების თარიღისთვის მიმდინარე საბაზრო პირობებში. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით, საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტრებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან მოდელები რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი ემპირიული ამოსავალი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასება, არის შეფასება რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა მიმდინარე დაკვირვებადი საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ ემპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, რაც იწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი" შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადებში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შეფასების შემდეგ კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL'), რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ('FVOCI') და ამორტიზებული ღირებულებით ('AC'). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი'), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება ('სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი') ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა" ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით ('FVTPL').

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს: პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსულ გამოცდილებას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიიღებოდა ფულადი ნაკადები შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ფინანსური აქტივები– კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI").

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით". SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით, წმინდად.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური იჯარის მოთხოვნებისთვის, კომპანია საერთო სამ ეტაპიან მოდელს იყენებს, რომელიც დამყარებულია თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებაზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური ინეტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება თანხით, რომელიც წარმოადგენს ამ ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს საკრედიტო შემთხვევის დადგომისას შემდეგი 12 თვის განმავლობაში, ან ამ ინსტრუმენტის კონტრაქტული ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა ('12 თვიანი საკრედიტო ზარალი'). თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გამოვლინდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ('SICR'), აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ხდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე. ეს მოქმედია სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე, მაგრამ ითვალისწინებს მოსალოდნელ გადახდილ ავანსებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში („მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, აქტივი გადადის მესამე ეტაპზე და მისი ECL-ი ფასდება როგორც მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის, რომლის მიხედვითაც ზარალის რეზერვი ფასდება თანხით, რომელიც ამ ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გასაზომად, ხორციელდება სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების შეფასება.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო უფლება არსებობს, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლებას ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) ჯგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კომპანია გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, ამავე დროს, ამ შესაძლებლობის გამოყენება შეუძლია ცალმხრივად და აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც 'შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით' ('AC'), გარდა (i) "რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა" ("FVTPL"): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს, პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ვალდებულებების მოდიფიკაცია, რომელიც არ იწვევს ვალდებულების დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის („catch up") მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელების კაპიტალთან დაკავშირებულ ოპერაციას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთ გადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტის შემთხვევაში და (iii) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია ("FVTPL"). მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდაზე. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის. ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტ თვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში და იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენასთან, მშენებლობასთან ან შექმნასთან, და რომელიც რეალური ღირებულებით არ აღირიცხება, და რასაც მის განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მნიშვნელოვანი დრო სჭირდება (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად. კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშრებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებულ აქტივების დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

ფინანსური იჯარის მოთხოვნა. როდესაც კომპანია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა მოიჯარეს, იჯარით გაცემული აქტივი აისახება, როგორც ფინანსური იჯარა და აღირიცხება სამომავლო საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით. ფინანსური იჯარა თავდაპირველად აღიარდება დაწყებისას (როდესაც იწყება იჯარის ვადა) განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით (იჯარის შეთანხმების გაფორმების თარიღსა და მხარეების მიერ იჯარის ძირითადი დებულებების დაცვის ვალდებულების აღების თარიღს შორის უწინარესი).

მთლიან მოთხოვნასა და დისკონტირებულ ღირებულებას შორის განსხვავება წარმოადგენს გამოუმუშავებელ ფინანსურ შემოსავალს. ეს შემოსავალი აღიარდება იჯარის ვადის განმავლობაში ნეტო საინვესტიციო მეთოდის გამოყენებით (დაბეგვრამდე), რაც ასახავს მუდმივ პერიოდულ უკუგებას. იჯარის თაობაზე მოლაპარაკებასა და შეთანხმების მიღწევასთან დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება ფინანსური იჯარის მოთხოვნის საწყის შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის ოდენობას. იჯარიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი მოცემული წლის მოგება-ზარალში აისახება.

საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზოგადი მოდელის შესაბამისად/გამარტივებული მიდგომის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება ისე, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და ავანსებისთვის და აღიარდება ანარიცხის ანგარიშის მეშვეობით, მოთხოვნის წმინდა საბალანსო ღირებულების ფინანსურ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებამდე ჩამოსაწერად. შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებში ასახულია ფულადი ნაკადები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საიჯარო აქტივების მიღებისა და გაყიდვის შედეგად.

ფინანსური იჯარის ვალდებულებები. როდესაც კომპანია არის მოიჯარე და საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება გადაეცემა კომპანიას, საიჯარო აქტივები კაპიტალიზდება ძირითად სამუალებებში იჯარის დაწყებისას, საიჯარო აქტივების რეალურ ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თითოეული საიჯარო გადახდა გადანაწილდება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი განაკვეთი დასაფარ ფინანსური ნაშთზე. შესაბამისი საიჯარო ვალდებულებები, სამომავლო ფინანსური ხარჯების გარეშე, აისახება სხვა ნასესხებ სახსრებში. საპროცენტო ხარჯი მოცემული წლის მოგება-ზარალს დაერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ფინანსური იჯარის ფარგლებში შეძენილ

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივებს ცვეთა ერიცხება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ან უფრო ხანმოკლე საიჯარო ვადის განმავლობაში, თუ კომპანია არ არის საკმარისად დარწმუნებული, რომ იგი მიიღებს აქტივის საკუთრებას, იჯარის ვადის დასრულებისას.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად. ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობით დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა კომპანიას გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები, ჯარიმებისა და საპროცენტო განაკვეთის გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ). წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღგ, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5 - 10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთა დღგ-სგან გათავისუფლებული ბრუნვა 20% ან მეტია

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალოს საფუძველზე და შედგება შესყიდვის ფასისგან, წარმოებისა და გადამუშავების საფასურისგან, და სხვა პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებისაგან, რომელიც გაიწევა მარაგების მიმდინარე კონდიციამდე და მდებარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

გადახდილი ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი აქტივი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს ინდიკატორი, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები აისახება საკუთარ კაპიტალში, შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც საემისიო შემოსავალი.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც ადგილი ექნება მავალდებულებელ მოვლენას, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსების სახით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღგ-ს გარეშე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მომსახურების გაწევა მოხდა, კონკრეტული ოპერაციის საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების წილის შეფასებით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

როდესაც ხელშეკრულება სამუშაოს შესრულების რამდენიმე მოვალეობას შეიცავს, ოპერაციის ფასი თითოეულ სამუშაოს შესრულების მოვალეობაზე გადანაწილდება მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის საფუძველზე.

ამონაგები კონტეინერების, საერთო ტვირთისა და დამატებითი მომსახურებიდან. ამონაგები კონტეინერების და საერთო ტვირთის ოპერირებიდან, ისევე, როგორც ამონაგები დამატებითი მომსახურების გაწევიდან, აღიარდება მოვლენებზე დაყრდნობით. ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ და ეფუძნება დატვირთვა-ჩამოტვირთვის სიებს, ტერმინალის დატოვების ჩანაწერებს (TDRs), შემაჯამებელ ცხრილებს და ა.შ.

ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან. ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან აღიარდება, როდესაც ხომალდი შედის ნავსადგურში (ნავმისადგომთან). ამონაგები აღიარდება წმინდად, ფასდათმომების გამოკლებით.

ამონაგები იჯარიდან. კომპანია იღებს საარენდო შემოსავალს იჯარით გაცემული ნავმისადგომებიდან საოპერაციო იჯარის ქვეშ. იჯარის ამონაგები საოპერაციო იჯარიდან აღიარებულია წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში, იმის მიუხედავად, თუ როდის არის გადახდის ვადა.

ამონაგები სახმელეთო ოპერაციებიდან შედგება სხვადასხვა, ერთმანეთთან დაკავშირებული ამონაგების ნაკადიდან, რომელიც შესაძლებელია გაიყოს მოვლენასა და დროსთან დაკავშირებულ მომსახურებებს შორის. მოვლენასთან დაკავშირებული მომსახურებები მოიცავს კონტეინერების საწყობის ოპერაციებს და ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევისთანავე. დროსთან დაკავშირებული მომსახურებები მოიცავს კონტეინეტერების და საერთო ტვირთის საწყობებს, საავტომობილო პარკინგსა და ტერმინალის მომსახურების საფასურის ამონაგებს. დროსთან დაკავშირებული მომსახურებები აღიარდება ყოველთვიური ამონაგების საფუძველზე.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი, გარდა რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულისა ("FVTPL"), აღიარდება სავალო ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის სახით გადავადდება მხარეებს შორის ხელშეკრულების ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა პრემია ან ფასდათმობა. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული სავალო ინსტრუმენტების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ნომინალური საპროცენტო განაკვეთით და მოგება-ზარალში აისახება „ფინანსური შემოსავლის" მუხლში.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, მოიცავს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებულ საკომისიოს, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, გარანტიების ან გირაოს შეფასებისა და აღრიცხვისთვის, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკებისთვის და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავებისთვის.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ბრუტო საბალანსო ღირებულებიდან, გარდა (i) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც გაუფასურდა (მე-3 ეტაპი), როდესაც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხით დაკორექტირებული ინსტრუმენტის ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, და (ii) ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებია, რომლებისთვისაც კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება ამორტიზირებულ ღირებულებაზე.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფო გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით, როდესაც არსებობს გონივრული რწმუნება, რომ გრანტი მიღებული იქნება და კომპანია შეასრულებს ყველა დაკავშირებულ პირობას.

ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები აისახება გრძელვადიან ვალდებულებებში, გადავადებული შემოსავლის სახით და მოგება-ზარალზე დაკრედიტდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, დაკავშირებული აქტივების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში. დანახარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები გადავადდება და წლის მოგება-ზარალში აღიარდება სხვა საოპერაციო შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც საჭიროა იმ დანახარჯებთან შესაბამისობისათვის, რომელთა კომპენსირებაც არის გრანტის *მიზანი.*

მომუშავეთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფინანსური იჯარა და ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. ხელმძღვანელობა განსჯას იყენებს, რათა განსაზღვროს ფინანსური აქტივების და საიჯარო აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და უკუგება არსებითად არის თუ არა გადაცემული პარტნიორებზე, კერძოდ რომელი რისკები და უკუგებაა ყველაზე მნიშვნელოვანი და რა არის არსებითად ყველა რისკი და უკუგება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ის მიხედვით, მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება, თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაკმაყოფილებას საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ასევე გაანალიზა კომპანიის სამომავლო ოპერაციები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება მნიშვნელოვანი შეფასებაა და გულისხმობს მეთოდოლოგის, მოდელებისა და მონაცემების გამოყენებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია განმარტებულია 24-ე შენიშვნაში. საკრედიტო ზარალის ანარიცხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს შემდეგ კომპონენტებს: დეფოლტის რეიტინგებს, ისევე როგორც მაკროეკონომიკური სცენარების მოდელებს. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს და ამტკიცებს მოდელებსა და მონაცემებს, რათა შეამციროს სხვაობები მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებებსა და ფაქტობრივ საკრედიტო ზარალს შორის.

კომპანიამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის გამოიყენა დასაბუთებადი პერსპექტიული ინფორმაცია, ძირითადად საკუთარი მაკროეკონომიკური პროგნოზირების მოდელის შედეგი. მნიშვნელოვანი პერსპექტიული დაშვებები, რომლებიც კორელაციაშია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან, იყო უცხოური ვალუტის გაცვლის კურსები და საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის რეიტინგი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გაზრდა ("SICR"). იმისათვის, რომ განისაზღვროს ადგილი ჰქონდა თუ არა რისკის მნიშვნელოვან გაზრდას, კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის მომსახურების ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის რისკს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ადარებს თავდაპირველი აღიარებისას დეფოლტის რისკს. შეფასება მოიცავს საკრედიტო რისკის ფარდობით ზრდას და არა საკრედიტო რისკის კონკრეტული დონის მიღწევას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ და დასაბუთებად პერსპექტიულ ინფომრაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რაც მოიცავს ფაქტორების სპექტრს, მათ შორის კონკრეტული მომხმარებლის პორტფელის ქცევის ასპექტებს. კომპანია საკრედიტო რისკის გაზრდის ქცევით ნიშნებს გამოავლენს გადახდისუუნარობის დადგომამდე და შესაფერის პერსპექტიულ ინფორმაციას ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შეფასებაში, ინდივიდუალური ინსტრუმენტის ან პორტფელის დონეზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე ექნებოდა შემდეგი გავლენა: გაზრდა 2,086 ათასი ლარით ან შემცირება 1,695 ათასი ლარით (2017 წელი: გაზრდა 2,224 ათასი ლარით ან შემცირება 1,875 ათასი ლარით).

ძირითადი საშუალებების შეფასება. კომპანიის ძირითადი საშუალებები რეალური ღირებულებით არის შეფასებული შპს KPMG საქართველოს მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით. აქტივის კლასებისთვის, იქ სადაც ბაზრის მონაცემები ხელმისაწვდომია, შემფასებელმა გამოიყენა საბაზრო მიდგომა, პირდაპირი საბაზრო შედარების მეთოდის გამოყენებით.

საბაზრო მიდგომა გვაწვდის ღირებულების მინიშნებას აქტივის შედარების საშუალებით იდენტურ ან შესადარის (რომელიც მსგავსია) აქტივთან, რომლის ფასის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია. კომპანიის მიწის ნაკვეთებისა და არასპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულების განსასაზღვრად გამოყენებული იყო საბაზრო მიდგომა. დანარჩენი აქტივებისთვის, შესადარისი საბაზრო მონაცემების ნაკლებობისა და საკუთრების ბუნების გამო, რეალური ღირებულება დადგინდა ფასის მიდგომის საფუძველზე

ღირებულების მიდგომა გვაწვდის ღირებულების მითითებას აქტივის ამჟამინდელი ჩანაცვლების ან რეპროდუქციის ღირებულების გამოანგარიშების მეშვეობით და ახორციელებს ფიზიკური გაუარესებისა და სხვა შესაბამისი მოძველების გამორიცხვას. ღირებულების მიდგომა გამოიყენებოდა კომპანიის სპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულების დადგენისას. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება (DRC) - საგნის შექმნის ღირებულების ოდენობა, გაანალიზებული სამიზნის მსგავსი, დადგინდა ანალიზის თარიღის დღეს არსებული საბაზრო ფასების მიხედვით, შემცირებული ყველა შესაბამისი ცვეთისა და გაუფასურების ფორმებით.

საბოლოოდ, შემოსავლის მიდგომა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ ბაზარზე აქტივისთვის გადახდილი ღირებულება განისაზღვრება მომავალში მის მიერ ფულადი სახსრების წარმოქმნის შესაძლებლობით, გამოყენებულ იქნა კომპანიის შეფასებული სპეციალიზირებული აქტივის ეკონომიკური ცვეთის ოდენობის განსასაზღვრად. შემოსავლის მიდგომის ფარგლებში მოპოვებული შედეგი წარმოადგენს ზედა ზღვარს სპეციალიზირებული აქტივების რეალური ღირებულებისათვის.

ამ ანალიზის შედეგად, საანგარიშო თარიღისათვის, კომპანიის აქტივები არ ჩაითვალა ეკონომიკურად მოძველებულად.

ძირითადი მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს საკუთრების ღირებულების დადგენას შემოსავლის მიდგომით, არის ის მოსაზრებები, რომელიც კავშირშია შესაძლო ამონაგებთან და შესაფერის დისკონტირების განაკვეთებთან. შეფასებები რეგულარულად ადარებს საბაზრო ინფორმაციას და კომპანიის რეალურ ტრანზაქციებს და ასევე ბაზრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასაც. მოსაზრებებში გონივრულად შესაძლო ცვლილებების ერთობლივ შეფასებაზე გავლენა , ყველა სხვა მუდმივ შესადარისებთან ერთად, შედგეგია:

- WACC შეფასება იყო 11.46%. თუ ეს მაჩვენებელი 1%-ით გაიზრდებოდა / შემცირდებოდა, ქონების გამოყენების ღირებულება იქნებოდა 84,660 ათასი ლარით ნაკლები/68,430 ათასი ლარით მეტი.
- თუ DCF მოდელის შეფასებული ამონაგები გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 5%-ით, ქონების გამოყენების ღირებულება იქნებოდა 101,727 ათასი ლარით მეტი/101,727 ათასი ლარით ნაკლები.

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9-ის- „ფინანსური ინსტრუმენტები" - მიღება. კომპანიამ ფასს 9 - *ფინანსური ინსტრუმენტები* - 2018 წლის 1 იანვარს მიიღო. კომპანიამ არჩია შესადარისი ციფრების არგადაანგარიშება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების კორექტირებები აღიარა გაუნაწილებელი მოგების საწყის ნაშთში, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით, 2018 წლის 1 იანვარი. შედეგად, ფასს 7-ის - *ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები* - გამოყენებულ იქნა მხოლოდ მიმდინარე პერიოდში. შესადარისი პერიოდის განმარტებით შენიშვნებში გამეორებულია გასული წლის განმარტებით შენიშვნებში ასახული ინფორმაცია.

მიმდინარე პერიოდში მიღებული ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია მე-*3 შენიშვნაში. 2018 წლის 1 იანვრამდე გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შესადარის ინფორმაციაზე ვრცელდება, აღწერილია 28-ე შენიშვნაში.*

ბასს 39-ის შესაბამისად შეფასებული კომპანიის ფინანსური აქტივები და ახალი თანხები არსებითად არ არის განსხვავებული ფასს 9-ის შემოღებით თარიღის, 2018 წლის 1 იანვარის მდგომარეობით, რადგან ახალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს არ ჰქონია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ამგარიშგებაზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. მე-13 შენიშვნაში განმარტებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ყველა კატეგორია ხელახლა კლასიფიცირდა ბასს 39-ის „სესხები და მოთხოვნების" ("L&R") კატეგორიიდან ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კატეგორიაში, ფასს 9-ის შესაბამისად, ამ სტანდარტის შემოღების თარიღით. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით იყო გატარებული. ფინანსური ვალდებულებების შეფასების კლასიფიკაციაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან" მიღება. კომპანიამ გამოიყენა ფასს 15-ზე გდასვლის გამარტივებული მეთოდი და არჩია გამარტივებული გადასვლის მეთოდის ხელმისაწვდომი პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონისძიებების მიღება. კომპანია ფასს 15-ს რეტროსპექტულად იყენებს მხოლოდ იმ ხელშეკრულებებთან მიმართებით, რომლებიც დასრულებული არ იყო თავდაპირველად შემოღების თარიღით (2018 წლის 1 იანვარი). არ ყოფილა ფასს 15-ზე გადასვლის გავლენა 2018 წლის 1 იანვრის მგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

კომპანიისთვის შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან, თუმცა არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიაზე:

- ცვლილებები ფასს 2-ში, „აქციებზე დაფუძნებული გადახდა" (გამოცემულია 2016 წლის 20 ივნისს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ცვლილებები ფასს 4-ში - „ფასს-ის 9, ფინანსური ინსტრუმენტები, გამოყენება ფასს-თან 4, სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ცვლილებები ფასს-ში 4 (გამოცემულია 2016 წლის 12 სექტემბერს და ძალაში შედის, გამოყენებული მიდგომის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის იმ საწარმოებისათვის, ვინც აირჩევს დროებითი გათავისუფლების გამოყენების ალტერნატივას, ან როდესაც საწარმო პირველად გამოიყენებს ფასს-ს 9 იმ საწარმოებისათვის, ვინც გადაფარვის მეთოდს აირჩევს).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები 2014-2016 წწ. ციკლში – ცვლილებები ფასს-ში 1 და ასს-ში 28 (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- ფაისკ 22 „სავალუტო ოპერაციები და ავანსის გათვალისწინება" (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

5 ახალი სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

- ცვლილებები ასს 40-ში „საინვესტიციო ქონება“ (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ს მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ახალი სტანდარტით დადგენილია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენის და გამჟღავნების პრინციპები. ყველა იჯარის შედეგია მოიჯარის მიერ აქტივის გამოყენების უფლების მიღება საიჯარო ურთიერთობის დასაწყისში და როდესაც საიჯარო გადახდები დროთა განმავლობაში ხორციელდება, დაფინანსების მიღებაც. შესაბამისად, ფასს 16-ით გამორიცხულია იჯარის კლასიფიკაცია საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, როგორც ეს მოითხოვებოდა ბას-ით 17 და სანაცვლოდ შემოღებულია იჯარის აღრიცხვის ერთი მოდელი. მოიჯარეს მოეთხოვება აღიაროს: (ა) აქტივები და ვალდებულებები ყველა იჯარისათვის, რომელთა ხანგრძლივობა აღემატება 12 თვეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბაზისო აქტივის ღირებულება დაბალია; და (ბ) საიჯარო აქტივების ცვეთა მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში განაცალკევოს საიჯარო ვალდებულებების პროცენტისაგან. ფასს 16-ით არსებითად გადატანილია ასს-ში 17 მოცემული მეიჯარის აღრიცხვის მოთხოვნები. შესაბამისად, მეიჯარე განაგრძობს თავისი იჯარის კლასიფიკაციას საოპერაციო იჯარად და ფინანსურ იჯარად, და ამ ორი ტიპის იჯარის განსხვავებულად აღრიცხვას.

კომპანიამ გადაწყვიტა ახალი სტანდარტის მიღება მისი მიღების სავალდებულო თარიღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდით, შესადარისების დამტკიცების გარეშე. აქტივები გამოყენების უფლებით საკუთრების იჯარისთვის შეფასდება ახალ წესებზე გადასვლისას, თითქოს ისინი სულ გამოიყენებოდა. ყველა სხვა გამოყენების უფლებით აქტივები ფასდება იჯარის ვალდებულების ოდენობით, მიღებისას (კორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი თუ დაგროვილი დანახარჯებისთვის). კომპანიამ შეაფასა ახალი სტანდარტის გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე როგორც არა არსებითი.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს ამლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ფასკ 23 "განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით" (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს). ბასს 12-ში მითითებულია, თუ როგორ უნდა აღირიცხოს მიმდინარე და გადავადებული გადასახადი, მაგრამ არ არის განსაზღვრული თუ როგორ უნდა აისახოს გაურკვევლობის გავლენა. ამ ინტერპრეტაციაში განმარტებულია, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბასს 12-ში მოცემული აღიარების და შეფასების მოთხოვნები, როდესაც გაურკვევლობა არსებობს მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. საწარმომ უნდა განსაზღვროს თითოეული გაურკვეველი საგადასახადო მიდგომა განიხილოს ცალ-ცალკე თუ ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო მიდგომასთან ერთად, იმის მიხედვით, თუ რომელი მიდგომა უზრუნველყოფს გაურკვევლობის გადაჭრის უკეთესად პროგნოზირებას. საწარმომ უნდა გააკეთოს დაშვება, რომ საგადასახადო ორგანო შეისწავლის იმ თანხებს, რომელთა შემოწმების უფლებაც გააჩნია მას და შემოწმებისას მას შესწავლილი ექნება ყველა დაკავშირებული ინფორმაცია. თუ საწარმო დაასკვნის, რომ არ არის მოსალოდნელი საგადასახადო ორგანოს მიერ გაურკვეველი გადასახადის მოცემული მიდგომის მიღება, გაურკვევლობის ეფექტი აისახება დაკავშირებული დასაბეგრი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზის, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში ყველაზე მეტად სავარაუდო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რაც დამოკიდებულია საწარმოს მოლოდინზე იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მეთოდით იქნება უზრუნველყოფილი გაურკვევლობის აღმოფხვრის უკეთესად განჭვრეტა. საწარმო სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით ასახავს ფაქტების ან გარემოებების ცვლილების ან ახალი ინფორმაციის გავლენას, რაც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე ან შეფასებებზე. ფაქტების და გარემოებების ცვლილებების ან ახალი ინფორმაციის, რასაც შეუძლია გამოიწვიოს განსჯის ან შეფასების ხელახლა განხორციელება, მაგალითები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემოწმებებით ან სხვა ზომებით საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო ორგანოს მიერ დადგენილი წესების ცვლილებები ან საგადასახადოს მიერ საგადასახადო მიდგომის შემოწმების ან ხელახლა შემოწმების უფლების ვადის გასვლა. საგადასახადო მიდგომასთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმება ან უთანხმოება თავისთავად, არ არის სავარაუდო, რომ წარმოადგენდეს ფაქტების და გარემოებების ცვლილებას ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ განსჯაზე და შეფასებებზე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებები იძლევა იმ სესხებისა და სავალო ვალდებულებების ამორტიზებული ღირებულებით შეფასების საშუალებას, რომელთა ავანსად გადახდა შესაძლებელია თანხით, რომელიც ამორტიზებულ ღირებულებაზე ნაკლებია. მაგალითად, რეალური ღირებულება ან თანხას, რომელიც მოიცავს მსესხებლისთვის გადასახდელ გონივრულ კომპენსაციას, რომლის ოდენობა ამ ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების დარჩენილ ვადაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდის ეფექტის ახლანდელი ღირებულების ტოლია. ამასთან, სტანდარტის დასკვნის საფუძველში ჩამატებული ტექსტით დადასტურებულია ფასს 9-ის არსებული სახელმძღვანელო მითითებები, რომ იმ ფინანსური ვალდებულებების მოდიფიცირება ან გაცვლა, რომლებიც ამორტიზებული ღირებულებითაა შეფასებული და არ იწვევს აღიარების შეწყვეტას, განაპირობებს შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვას. ამიტომ, საანგარიშგებო საწარმოები უმეტესწილად ვერ შეძლებენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გადასინჯვას სესხის დარჩენილი მომსახურების ვადისთვის, რათა თავიდან

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

აიცილონ სესხის მოდიფიცირებისას მოგება-ზარალზე გავლენა. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 28-ში "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში " (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გარკვევითაა მინიშნებული, რომ საწარმოებმა ფასს 9 უნდა გამოიყენონ იმ გრძელვადიანი სესხების, პრივილეგირებული აქციებისა და მსგავსი ინსტრუმენტების მიმართ, რომლებიც ინვესტიციის მიმღებში კაპიტალ-მეთოდით წმინდა ინვესტიციის ნაწილია, სანამ ისინი შეამცირებენ მსგავს საბალანსო ღირებულებას ინვესტიციის მიმღების იმ ზარალის წილით, რომელიც აღემატება ინვესტორის წილს ჩვეულებრივ აქციებში. კომპანია არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). შეზღუდული მოქმედების სფეროს მქონე ეს ცვლილებები ოთხ სტანდარტს ეხება. ფასს 3-ში ახსნილია, რომ შემძენმა ხელახლა უნდა შეაფასოს ერთობლივ ოპერაციაში ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ამ ბიზნესის კონტროლს მოიპოვებს. საპირისპიროდ, ფასს 11-ში ერთმნიშვნელოვნადაა ახსნილი, რომ ინვესტორმა ხელახლა არ უნდა შეაფასოს ადრე მის მიერ ფლობილი წილი, როდესაც ის ერთობლივ ოპერაციაზე ერთობლივ კონტროლს მოიპოვებს, არსებული მოთხოვნების მსგავსად, როდესაც მეკავშირე საწარმო ერთობლივი საწარმო ხდება და პირიქით. შეცვლილ ბასს 12-ში ახსნილია, რომ საწარმო დივიდენდებთან დაკავშირებულ მთელ მოგების გადასახადს აღიარებს, როდესაც მას აღიარებული აქვს ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა დაკავშირებული მოგების განაწილება. მაგალითად, მოგება-ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში. ახლა ცხადია, რომ ეს მოთხოვნა ყველა ვითარებას ეხება იმდენად, რამდენადაც კაპიტალად კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის გადახდები წარმოადგენს მოგების განაწილებას, და არა მარტო იმ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო შედეგი გამოწვეულია განაწილებულ ან გაუნაწილებელ მოგებაზე განსხვავებული საგადასახადო განაკვეთების გამო. გადასინჯული ბასს 23-ში ახლა მოცემულია ცალსახა მითითებები, რომ კონკრეტული აქტივის დასაფინანსებლად მოძიებული ნასესხები სახსრები გამოირიცხება საერთო ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისგან, რომლებიც კაპიტალიზაციის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ მხოლოდ კონკრეტული აქტივის ასრებითად დასრულებამდე. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება" (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში მითითებულია, როგორ უნდა განისაზღვროს საპენსიო ხარჯები დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამის ცვლილების შემთხვევაში. პროგრამის ცვლილებისას - ცვლილების შეტანა, შემცირება ან ანგარიშსწორება - ბასს 19-ით მოითხოვება წმინდა დადგენილი სარგებლის ვალდებულების ან აქტივის წმინდა დადგენილგადასახდელიანი ვალდებულების ან აქტივის ხელახლა შეფასება. ამ ცვლილებებით მოითხოვება ამ შეფასების განახლებული დაშვებების გამოყენება, რათა განისაზღვროს მიმდინარე მომსახურების დანახარჯი წმინდა პროცენტით, პროგრამის ცვლილების შემდეგ დარჩენილი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ამ ცვლილებების შეტანამდე ბასს 19-ში მითითებული არ იყო, როგორ უნდა განსაზღვრულიყო ეს ხარჯები პროგრამის ცვლილების შემდგომ პერიოდში. განახლებული დაშვებების გამოყენების მოთხოვნით მოსალოდნელია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის უზრუნველყოფილი იქნება სასარგებლო ინფორმაცია. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე

6 საბუღალტრო აღრიცხვის ახალი ოფიციალური დოკუმენტები (გაგრძელება)

მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალთად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულს, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

2018 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	გლობალური საბოლოო მშობელი	უშუალო მშობელი კომპანია	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავჭრო მოთხოვნების მთლიანი ოდენობა	-	-	2,405	159	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	11,261	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	(11,035)	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(578)	-	-	-
დარიცხული ვალდებულებები და მიღებული ავანსები	-	-	(262)	-	-	-
დარიცხული ხელფასები და ბონუსები	-	-	-	-	(905)	-

2017 წლის 31 დეკემბერს დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	გლობალური საბოლოო მშობელი	უშუალო მშობელი კომპანია	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები	მთავარი ხელმძღვანელი პირები	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავჭრო მოთხოვნების მთლიანი ოდენობა	-	-	1,885	194	-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	-	-	-	7,199	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	(7)	-	-	-
დარიცხული ვალდებულებები და მიღებული ავანსები	-	-	(391)	-	-	-
დარიცხული ხელფასები და ბონუსები	-	-	-	-	(489)	-

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	გლობალური საბოლოო მშობელი	უშუალო მშობელი კომპანია	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები
მიწოდებული მომსახურების ამონაგები	-	-	24,610	1,060
იჯარის ამონაგები	-	-	-	408
სხვა ამონაგები	-	-	1	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-	764	21
ხელმძღვანელობის ხარჯი		(7,034)	-	-
IT მომსახურების ხარჯი	-	-	(1,263)	-
სხვა მომსახურებები	-	-	(36)	-
საპროცენტო შემოსავალი	1	-	10	-
საპროცენტო დანახარჯები	-	-	(778)	-
მეკავშირე საწრამოების მოგების წილი	-	-	-	1,494
მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი	-	-	-	2,568

შემოსავლებისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შემდეგია:

ათასი ლარი	გლობალური საბოლოო მშობელი	უშუალო მშობელი კომპანია	საწარმოები საერთო კონტროლის ქვეშ	მეკავშირე საწარმოები
მიწოდებული მომსახურების ამონაგები	-	-	22,063	1,296
იჯარის ამონაგები	-	-	-	408
სხვა ამონაგები	-	-	4	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-	18	55
ხელმძღვანელობის ხარჯი	-	(6,663)	-	-
IT მომსახურების ხარჯი	-	-	(1,258)	-
სხვა მომსახურებები	-	-	(575)	-
საპროცენტო შემოსავალი	1	-	35	-
საპროცენტო დანახარჯები	-	-	-	1,558

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია. ხელმძღვანელი პირები მოიცავს აღმასრულებელ დირექტორებს.

ხელმძღვანელი პირების კომპენსაცია წარმოდგელინია ქვემოთ:

	2018		2017	
ათასი ლარი	დანახარჯი	დარიცხული ვალდებულება	დანახარჯი	დარიცხული ვალდებულება
მოკლევადიანი სარგებელი:				
- ხელფასები	2,734	-	2,400	-
- მოკლევადიანი ბონუსები	1,288	(905)	787	(489)
- არამატერიალური სარგებელი	660	-	526	-
სულ	**4,682**	**(905)**	**3,713**	**(489)**

მოკლევადიანი ბონუსების გადახდა სრულად ხელმძღვანელი პირების მიერ გაწეული შესაბამისი მომსახურების პერიოდის დასრულების შემდგომ 12 თვის განმავლობაში ხდება.

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	ხომალდები, ამწეები და კონტეინერები	წარმოების საშუალებები, აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა	მიმდინარე მშენებლობები	სულ
ღირებულება/გადაფასებული ოდენობა					
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	**251,558**	**14,572**	**82,018**	**5,250**	**353,398**
დამატებები	-	-	-	1,822	1,822
ტრანსფერები	844	(162)	3,740	(4,422)	-
გასვლები	-	-	(310)	(127)	(437)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**252,402**	**14,410**	**85,448**	**2,523**	**354,783**
დამატებები	-	10,485	-	9,040	19,525
ტრანსფერები	1,914	898	5,624	(8,436)	-
გასვლები	-	(9,346)	(1,953)	(863)	(12,162)
ცვეთის აღმოფხვრა	(48,469)	(2,042)	(28,453)	-	(78,964)
გადაფასების რეზერვის გაზრდა	133,470	6,766	26,122	-	166,358
გადაფასების რეზერვის შემცირება	(10,176)	-	(690)	-	(10,866)
გაუფასურება გადაფასების შედეგად	(2,788)	-	(569)	-	(3,357)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**326,353**	**21,171**	**85,529**	**2,264**	**435,317**
ცვეთის და გაუფასურების ზარალი					
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	23,160	2,331	14,401	-	39,892
ცვეთის ხარჯი	12,512	1,295	8,380	-	22,187
ცვეთა გასვლისას	-	-	(158)	-	(158)
გაუფასურების ხარჯი მოგება/ზარალისთვის	-	-	-	467	467
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	**35,672**	**3,626**	**22,623**	**467**	**62,388**
ცვეთის ხარჯი	12,797	1,813	7,805	-	22,415
ცვეთა გასვლისას	-	(2,633)	(1,975)	-	(4,608)
ცვეთის აღმოფხვრა	(48,469)	(2,042)	(28,453)	-	(78,964)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	-	764	-	467	1,231
საბალანსო ღირებულებები					
2017 წლის 1 იანვარი	228,398	12,241	67,617	5,250	313,506
2017 წლის 31 დეკემბერი	216,730	10,784	62,825	2,056	292,395
2018 წლის 31 დეკემბერი	**326,353**	**20,407**	**85,529**	**1,797**	**434,086**

გადაფასების გარეშე, ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება იქნებოდა 300,886 ათასი, 284,785 ათასი და 261,609 ათასი ლარი 2017 წლის 1 იანვრის, 2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხომალდებს, ამწეებსა და კონტეინერებში შესულია ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები, ჯამური საბალანსო ღირებულებით 9,722 ათასი ლარი (2017: ნული)

გადაფასება. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ძირითადი საშუალებები, მიმდინარე მშენებლობისა და ფინანსური იჯარით შეძენილი აქტივების გამოკლებით, გადაფასდა საბაზრო ღირებულებით. შეფასება განახორციელა დამოუკიდებელმა შემფასებელმა ფირმამ, შპს KPMG საქართველომ, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაბამისი პროფესიონალური კვალიფიკაცია და ასევე გააჩნია მსგავსი ლოკაციისა და კატეგორიის აქტივების შეფასების გამოცდილება.

8 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი საშუალებების უმეტესობის ბუნება სპეციალიზირებულია და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, განგრძობითი ბიზნესის ფარგლების გარდა. ძირითადი საშუალებების გარკვეული ნაწილის გარდა, რომელიც შეფასდა ახლო წარსულში საბაზრო გარიგებების საფუძველზე, ბაზარი მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის საქართველოში არ არის აქტიური და არ გვაწვდის ძირითადი საშუალებების გაყიდვების საკმარის რაოდენობას რეალური ღირებულების განსასაზღვრად საბაზრო მიდგომის გამოყენებისთვის.

ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება დადგინდა შიდა წყაროებზე დაყრდნობით და მსგავსი ძირითადი საშუალებების საქართველოს ბაზრის ანალიზის მიხედვით. სხვადასხვა საბაზრო მონაცემები შეგროვდა გამოქვეყნებული ინფორმაციიდან, კატალოგებიდან, სტატისტიკური მონაცემებიდან და ა.შ., ასევე ინდუსტრიის ექსპერტებისგან. ასევე დამყარდა კავშირი ძირითადი საშუალებების მომწოდებლებთანაც საქართველოში.

შეფასების შედეგად, ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება, მიმდინარე მშენებლობის და ფინანსური იჯარით შეძენილი აქტივის გარდა, განისაზღვრა 157,900 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (რაც ეკვივალენტია 422,600 ათასი ლარისა, ლარისა და აშშ დოლარის სავალუტო გაცვლითი კურსით: 2.6766).

მიმდინარე მშენებლობა: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე მშენებლობა მოიცავს ძირითადად დაუმონტაჟებელ აღჭურვილობას და მიმდინარე ტექნიკურ პროექტებს (2017: დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა). 2018 წელს არ ყოფილა ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული კაპიტალიზირებული სასესხო ხარჯები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2017: ნული) არც საკუთრება და არც აღჭურვილობა არ გადაცემულა მესამე მხრისთვის უზრუნველყოფის სახით.

9 ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

კომპანიის ინტერესი, საქართველოში დარეგისტრირებულ ძირითად მეკავშირე საწარმოებში იყო შემდეგი:

სახელი	საქმიანობის ბუნება	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მეკავშირე საწარმოები			
Channel Energy Limited	ნავთობის ტერმინალები შავი ზღვის სანაპიროზე	25%	25%
სს Doctranshipment Poti	ტვირთის აწონვის მომსახურება ნავსადგურში	50%	50%

ორივე მეკავშირე საწარმო წარმოადგენს კომპანიის მოიჯარეებს. ინვესტიციის მიმღებთაგან არცერთი არ წარმოადგენს საჯაროდ დარეგისტრირებულ პირს და შესაბამისად არ გააჩნიათ აღიარებული ფასების კოტირება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება.

ათასი ლარი	2018	2017
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	**7,199**	**5,641**
მეკავშირე საწარმოების მოგების წილი	1,494	1,558
მეკავშირე საწარმოების სხვა სრული შემოსავლის წილი	2,568	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერს	**11,261**	**7,199**

10 ფინანსური იჯარის მოთხოვნები

კომპანიას გააჩნია ფინანსური იჯარის გარიგებები იმ საკუთრებისა და აღჭურვილობისთვის, რომლებიც განთავსებულია ნავმისადგომებზე #3, #4, #5, #6, #8, #9, #10 და #15. იჯარის გარიგებები დენომინირებულია აშშ დოლარში. ფინანსური იჯარის საშუალო პირობა 25 წელია.

ფინანსური იჯარის გადახდების მოთხოვნა (მთლიანი ინვესტიციები იჯარაში) და მათი ამჟამინდელი ღირებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	1 წელიწადში დასაფარი	2-დან 5 წლამდე ვადაში დასაფარი	5 წლის შემდეგ დასაფარი	სულ
ფინანსური იჯარის გადახდების მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბერს	**5,831**	**31,870**	**49,551**	**87,252**
გაუნაწილებელი ფინანსური შემოსავალი	(5,846)	(28,040)	(21,848)	(55,734)
იჯარის გადახდების მოთხოვნების ამჟამინდელი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	**(15)**	**3,830**	**27,703**	**31,518**
ფინანსური იჯარის გადახდების მოთხოვნები 2017 წლის 31 დეკემბერს	**5,482**	**29,971**	**54,530**	**89,983**
გაუნაწილებელი ფინანსური შემოსავალი	(5,649)	(27,722)	(26,263)	(59,634)
იჯარის გადახდების მოთხოვნების ამჟამინდელი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	**(167)**	**2,249**	**28,267**	**30,349**

ფინანსური იჯარის მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

ათასი ლარი	2018	2017
არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული - საშუალო სიდიდის კომპანიები	31,518	30,349
სულ არც ვადაგადაცილებული არც გაუფასურებული	**31,518**	**30,349**
სულ ფინანსური იჯარის მოთხოვნები	**31,518**	**30,349**

ყველა ფინანსური იჯარის მოთხოვნები ექვემდებარება პირველ ეტაპს (12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) და მიენიჭათ „შესანიშნავი“-ს რეიტინგი ხელმძღვანელობის შიდა საკრედიტო რისკის პოლიტიკის საფიძველზე.

ფინანსური იჯარის მოთხოვნებს არ გააჩნიათ უზრუნველყოფა.

11 მარაგები

მარაგების ღირებულების ოდენობამ, რომელიც აღიარებულია როგორც დანახარჯი პერიოდის განმავლობაში, შეადგინა 10, 924 ათასი ლარი (2017: 7,374 ათასი ლარი)

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	8,940	8,169
სხვა ფინანსური მოთხოვნები	106	74
გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით	(349)	(894)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	*8,697*	*7,349*
წინასწარი გადახდები	510	2,132
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**9,207**	**9,481**

2,258 ათასი ლარის ოდენობის (2017: 2,543 ათასი ლარი) სავაჭრო მოთხოვნები, გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით, დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, ძირითადად აშშ დოლარში.

კომპანია იყენებს ფასს 9 მიდგომას ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასებისას, რომელიც იყენებს 12 თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, შემდეგ მომსახურების ვადის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, თუ ზრდა არ იცვლება.

მოსალოდნელი საკრედიტო რისკის შეფასებისთვის, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს ინდივიდუალურადაც და ჯგუფებადაც, დაჯგუფება ხდება საკრედიტო რისკის მახასიათებლებზე და ვადაგადაცილებულ დღეებზე დაყრდნობით.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილის ანალიზს 18 თვის განმავლობაში 2018 წლის 31 დეკემბრამდე ან 2018 წლის 1 იანვრამდე და ამ პერიოდში მიღებულ შესაბამის ისტორიულ საკრედიტო ზარალს. ისტორიული ზარალის განაკვეთი კორექტირებულია მომხმარებლის მიერ მოთხოვნების ანგარიშსწორების უნარზე მაკროეკონომიკური ფაქტორების გავლენის მოხდენის მიმდინარე და პროგნოზირებადი ინფორმაციის ასახვით. კომპანიამ მშპ და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსი ქვეყანაში, რომელშიც ის ყიდის მის მომსახურებას, გამოავლინა, როგორც ყველაზე შესაბამისი ფაქტორები და ამის მიხედვით დააკორექტირა ამ ფაქტორებში ცვლილებებზე დაფუძნებულ ისტორიული ზარალის განაკვეთი.

მთლიანი ღირებულების პროცენტებში %	ზარალის განაკვეთი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	სოციალის ხანგრძლივობის ECL
სავაჭრო მოთხოვნები			
- მიმდინარე	*0%*	3,225	-
- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	*1%*	339	3
- 30-დან 90 დღემდე ვადაგადაცილება	*10%*	13	1
- 90-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	*30%*	9	3
- 181-დან 360 დღემდე ვადაგადაცილება	*50%*	2	1
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	*100%*	340	340
ინდივიდუალური შეფასება	*0%*	5,012	1
სულ სავაჭრო მოთხოვნები		**8,940**	**349**

სხვა ფინანსური მოთხოვნები, 106 ათასი ლარის ოდენობით, კლასიფიცირდა როგორც მიმდინარე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე.

12 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მომდევნო ცხრილი განმარტავს ცვლილებებს საკრედიტო რისკის ანარიცხში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის გამარტივებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში წლიური პერიოდის დასაწყისსა და ბოლოს შორის:

ათასი ლარი	**საკრედიტო ზარალის ანარიცხი**
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	**894**
ახალი წარმოქმნილი	2
აღიარება შეწყვეტილი ფინანსური აქტივები პერიოდის განმავლობაში	(547)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	**349**

სავაჭრო მოთხოვნებისთვის გაუფასურების ანარიცხში მოძრაობები 2017 წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	**2017**
გაიფასურების ანარიცხი 1 იანვარს	**996**
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში	110
წლის განმავლობაში ჩამოწერილი ამოუღებადი თანხები	(212)
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს	**894**

საკრედიტო ხარისხის მიხედვით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს შემდგებია:

ათასი ლარი	**2017**
სულ არც ვადაგასული არც გაუფასურებული	6,381
ინდივიდუალურად განისაზღვრა როგორც გაუფასურებული (ბრუტო)	
- 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	1,412
- 91-დან 180 დღემდე ვადაგადაცილება	47
- 181-დან 279 დღემდე ვადაგადაცილება	14
- 270-დან 365 დღემდე ვადაგადაცილება	4
- 365 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	311
სულ ინდივიდუალურად გაუფასურებული	**1,788**
შემცირებული გაუფასურების ანარიცხით	(894)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 31 დეკემბერს	**7,275**

2,463 ათასი ლარის ოდენობის წინასწარი გადახდები აღიარდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან (2017: 2,836 ათასი ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან არცერთი იყო უზრუნველყოფილი (2017: ნული)

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2018	2017
ფული ხელზე	-	3
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	10,531	11,441
სახსრები და მათი ეკვივალენტები	**10,531**	**11,444**

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე იმ ბანკებში ინახება, რომლებსაც Fitch რეიტინგის მიხედვით „B" რეიტინგი აქვთ მინიჭებული.

14 საწესდებო კაპიტალი

2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა სულ 196,370 ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ღირებულებით 1 ლარი. ყველა გამოშვებული აქცია სრულადაა გადახდილი. ყველა ჩვეულებრივ აქციას კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში თანასწორი უფლება აქვს.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიის განაწილებადი რეზერვები შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების ნაშთებამდე, როგორც ეს აღრიცხულია კომპანიის ფასს-თან შესაბამისობაში მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან დროდადრო მიიღონ დივიდენდები და ასევე კომპანიის შეხვედრებზე იქონიონ ერთი ხმის უფლება თითოეულ აქციაზე.

გამოცხადებული და გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში შემდეგია:

ათასი ლარი	2018	2017
დივიდენდები, რომლებიც გადასახდელია 1 იანვარს	**(23,330)**	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდები	(53,882)	(107,142)
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	76,136	84,256
გადასახდელ დივიდენდებზე უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ზარალი	1,076	(444)
დივიდენდები, რომლებიც გადასახდელია 31 დეკემბერს	-	**(23,330)**
დივიდენდები წლის განმავლობაში გამოცხადებულ აქციებზე	**0.274**	**0.546**

ყველა დივიდენდი გამოცხადებული და გადახდილია აშშ დოლარში.

15 ფინანსური იჯარის ვალდებულებები

ფინანსური იჯარით მინიმალური საიჯარო გადახდები და მათი ამჟამინდელი ღირებულება შემდეგია:

ათასი ლარი	1 წელიწადში გადასახდელი	1-დან 5 წლამდე გადასახდელი	5 წლის შემდეგ გადასახდელი	სულ
მინიმალური საიჯარო გადახდები 2018 წლის 31 დეკემბერს	**1,849**	**9,247**	**6,858**	**17,954**
შემცირებული სამომავლო ფინანსური ხარჯებით	(1,137)	(4,442)	(1,340)	(6,919)
2018 წლის 31 დეკემბერს მინიმალური საიჯარო გადახდების ამჟამინდელი ღირებულება	**712**	**4,805**	**5,518**	**11,035**

ქვემოთ მოცემული ცხრილი კომპანიის ფინანსური იჯარის ვალდებულებებში ცვლილებებს ასახავს:

ათასი ლარი	
ფინანსური იჯარის ვალდებულებები 2018 წლის 1 იანვარს	-
ძირი თანხის დამატება	10,485
დაგროვილი პროცენტი	778
გადახდილი ძირი თანხა	(402)
გადახდილი პროცენტი	(778)
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	952
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2018 წლის 31 დეკემბერს	**11,035**

10,485 ათასი ლარის ოდენობის ძირი თანხის დამატებიდან 5,717 ათასი ლარი წარმოიქმნა ბუქსირების გაყიდვისა და უკუიჯარის გარიგებიდან, რომელშიც კომპანია შევიდა 2018 წლის მარტში (შენიშვნა 16).

იჯარით გაცემული აქტივები, 9,721 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, რომელიც განმარტებულია მე-8 შენიშვნაში, ფაქტობრივად გადაცემულია გირაოდ ფინანსური იჯარის ვალდებულებებისთვის, რადგანაც დეფოლტის შემთხვევაში, იჯარით გადაცემულ აქტივზე უფლება უბრუნდება მეიჯარეს.

16 გადავადებული შემოსავალი

2004 წლის 31 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით, ნიდერლანდების მთავრობასთან, რომელიც წარმოდგენილია De Nederlandse Investeringsbank voor Ontwikkelingslanden N.V. სახით, Boskalis International B.V.-ს უფლებამოსილებით დადო საგრანტო ხელშეკრულება, ტალღთმტეხის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის 5,355 ათასი ევროს ოდენობით თანხის მიღებაზე.

2004 წლის 31 აგვისტოს, კომპანიასა და საქართველოს მთავრობის შეთანხმების საფუძველზე, კომპანიას მიენიჭა უფლებამოსილება სესხისა და გრანტის მიღებაზე 9,945 ათასი ევროსა და 5,355 ევროს ოდენობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული ამონაგები წარმოადგენს მთავრობის გრანტს 7,951 ათასი ლარის და 8,349 ათასი ლარის ოდენობით მიღებულ გრანტთან, შესაბამისად.

კომპანიამ აღიარა ბუქსირის გაყიდვის და უკუიჯარის გადავადებული შემოსავალი, რომელიც გადაეცა მასთან დაკავშირებულ მხარეს, შპს Svitzer Georgia-ს, გაყიდვის შეთანხმების საფუძველზე და უკუიჯარით გადასცა ბუქსირების მომსახურების შეთანხმების მიხედვით. გარიგება აღიარდა, როგორც გაყიდვისა და უკუიჯარის გარიგება და შესაბამისი გადავადებული შემოსავალი აღიარდა კომპანიის

16 გადავადებული შემოსავალი (გაგრძელება)

ნაშთში 3,308 ათასი ლარის ოდენობით. გადავადებული შემოსავალი ამორტიზდება 10 წლის განმავლობაში, იჯარის ვადაზე.

ათასი ლარი	2018	2017
გადავადებული შემოსავალი 1 იანვარს	8,349	8,747
მოწყობილობების გაყიდვით აღიარებული გადავადებული შემოსავალი	3,308	-
გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია დაკავშირებული აქტივის ცვეთასთან შესაბამისობაში	(664)	(398)
გადავადებული შემოსავალი მთავრობის გრანტიდან 31 დეკემბერს	**10,993**	**8,349**

17 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	2,221	473
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	998	1,799
სულ ფინანსური დავალიანებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ში ამორტიზირებული ღირებულებით	***3,219***	***2,272***
თანამშრომლების ანაზღაურების დაგროვილი ხარჯები	2,555	1,414
მიღებული ავანსები	87	198
სულ სხვა ვალდებულებები	***2,642***	***1,612***
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 31 დეკემბერს	**5,861**	**3,884**

18 ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით

ამონაგების ანალიზი კატეგორიების მიხედვით ამონაგების აღიარების ხელმძღვანელობის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრიდან:

ათასი ლარი	2018	2017
კონტეინერები და საერთო ტვირთი	74,443	67,654
საზღვაო მომსახურება	37,951	38,210
სახმელეთო მომსახურება	16,935	13,398
იჯარა	16,622	15,966
დამატებითი მომსახურება	4,098	4,175
სულ ამონაგები	**150,049**	**139,403**

კომპანია გამოიმუშავებს მის ამონაგებს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, დროის განმავლობაში მომსახურების შესრულების მიხედვით.

19 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ათასი ლარი	2018	2017
ცვეთა	21,599	21,242
თანამშრომელთა ხელფასის ხარჯი	16,940	16,783
რემონტი და შენახვა-მოვლა	5,688	4,678
ბუქსირის მომსახურების საფასური	3,357	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	3,357	467
გამოყენებული ენერგიის წყაროების ხარჯი	4,413	3,249
ექსკავაციის დანახარჯები	267	3,607
სხვა	2,613	1,507
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**58,234**	**51,533**

20 საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

ათასი ლარი	2018	2017
თანამშრომელთა ხარჯები	10,778	10,036
პროფესიული მომსახურება*	8,531	7,822
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	2,752	2,708
საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	2,050	1,720
უსაფრთხოება	1,923	1,542
ცვეთა და ამორტიზაცია	816	945
დაზღვევა	755	737
რემონტი და შენახვა-მოვლა	362	858
მივლინებების დანახარჯები	346	368
სარეკლამო და მარკეტინგის დანახარჯები	258	232
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	2	110
სხვა	2,177	2,440
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	**30,750**	**29,518**

(*) პროფესიული მომსახურება მოიცავს 260 ათას ლარს (2017: 181 ათასი ლარი)- აუდიტის მომსახურების საფასურს, რომელიც გაწეულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

21 ფინანსური შემოსავალი

ათასი ლარი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი ფინანსური იჯარის მოთხოვნაზე	5,547	5,443
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	1,205	2,054
სხვა საპროცენტო შემოსავალი	25	90
სულ ფინანსური შემოსავალი	**6,777**	**7,587**

22 ფინანსური დანახარჯები

ათასი ლარი	2018	2017
საპროცენტო დანახარჯი	1,086	636
უცხოური ვალუტის გაცვლის შემოსულობები შემცირებული ზარალით ნასესხები სახსრებიდან	(101)	(536)
სულ ფინანსური ხარჯები	985	100
შემცირებული კაპიტალიზირებული ფინანსური ხარჯებით	-	-
სულ ფინანსური ხარჯები აღიარებული მოგებასა და ზარალში	**985**	**100**

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობისას დროდადრო კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სასამართლო სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე პროფესიული კონსულტაციის საფუძველზე ხელმძღვანელობის აზრია, რომ არსებითი ზარალი არ წარმოიქმნება აღნიშნულ სარჩელებთან დაკავშირებით და შესაბამისად, ანარიცხი შექმნილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონკურენციის სააგენტოს საქმე. 2016 წლის 8 ივნისს ფოთში დაფუძნებულმა თოთხმეტმა სატრანსპორტო კომპანიამ საქართველოს კონკურენციის სააგენტოში შეიტანა სარჩელი კომპანიის საკონტეინერო ტვირთის გადაზიდვის ახალი სტრუქტურის დანერგვის წინააღმდეგ, რადგანაც ის გაცხადდა, რომ იყო საქართველოს კონკურენციის კანონის ნორმებთან შეუსაბამო.

2017 წლის 21 აპრილს, კონკურენციის სააგენტომ გამოსცა გადაწყვეტილება, რომლითაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნები და კომპანიის მიერ კონკურენციის კანონის დარღვევა ცნო. 2017 წლის 25 მაისს კომპანიამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ პალატაში. მას შემდეგ, რამოდენიმე მოსმენა გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა საქმის სტატუსი უცვლელია. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში დამატებითი ანარიცხების აღიარება მოსალოდნელ ზარალთან დაკავშირებით საჭირო არ არის.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, ახალი ოფიციალური დოკუმენტების გამოცემითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გარკვევით ჩამოყალიბებული არ არის, წინააღმდეგობრივია და სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება სხვადასხვა საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადების მიმოხილვასა და მოკვლევას მრავალი სახელმწიფო ორგანო ახორციელებს, რომელთაც გააჩნიათ მკაცრი საურავებისა და საპროცენტო ხარჯის დაკისრების უფლებამოსილება. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ განხილვისათვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში საგადასახადო წელი უფრო ხანგრძლივი პერიოდითაც რჩება ღია.

აღნიშნულმა გარემოებებმა შეიძლება საქართველოში საგადასახადო რისკები წარმოქმნას, რაც მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ საგადასახადო ვალდებულებები სათანადოდ ასახეს შესაბამისი ქართული საგადასახადო კანონმდებლობის, გამოცემული ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს და საგადასახადო ორგანოების მიერ თავისი ინტერპრეტაციების აღსრულებაში წარმატების მიღწევის შემთხვევაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

23 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელმძღვანელობის მიერ გადაფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, დამატებითი გადასახადების დარიცხვის მიზეზი შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია ან საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქნება ძალაში შესული. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გადასახადის გარდა, გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებს.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგნოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები . აქციების შესყიდვასთან დაკავშირებული შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დაიდო საქართველოს მთავრობას, Ras Al Khaimah Investment Authority-ს (სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის წინამორბედი აქციონერი კომპანია, რომელმაც მიჰყიდა მისი წილი კომპანიაში APMTBV-ს), APM Terminals B.V. და კომპანიამ აიღო ვალდებულება განავითაროს ნავსადგური კარგი ინდუსტრიული სტანდარტებით და გადააქციოს ის პირველი კლასის ნავსადგურად ისეთი ტვირთბრუნვით, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს იმპორტისა და ექსპორტის ზრდას და გადააქციოს ფოთის საზღვაო ნავსადგური გადაზიდვების აღიარებულ, რეგიონალურ საკვანძო ნავსადგურად. ეს მოიცავს არსებული ნავმისადგომებისა და მოწყობილობების რემონტს და მოვლა-შენახვას, აგრეთვე ნავსადგურის ნავმისადგომების და სასაწყობე ტერიტორიების გაფართოებას. ამ ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ინვესტიციების ოდენობა განისაზღვრა 65 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით 2012-2018 წლების განმავლობაში. 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას ეს ვალდებულებები სრულად ჰქონდა შესრულებული, თუმცა ადგილი ჰქონდა უთანხმოებას გარკვეულ პოზიციებზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან. კომპანიამ გამოსცა ანგარიში, რომელიც დამოუკიდებელი კონსულტანტის მიერ იყო მომზადებული, სადაც ადასტურებდა მის პოზიციას სახელმწიფოსთან, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მიღების აქტი ჯერ არ არის ხელმოწერილი.

ზემოთხსენებულის გარდა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია სახელშეკრულებო კაპიტალური დანახარჯების ვალდებულებები ძირითად საშუალებებთან მიმართებაში სულ 3,000 ათასი ლარის ოდენობით (2017: ნული)

24 ფინანსური რისკის მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ გაცემული სესხითა და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებსა და ბალანსის გარეთ სესხთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

კომპანიის სარედიტო რისკის მაქსიმუმი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებშია ასახული ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში. გამოცემული ფინანსური გარანტიებისთვის, კრედიტის გაზრდის ვალდებულებებისთვის, აუთვისებელი საკრედიტო ხაზების და კრედიტის ექსპორტ/იმპორტის წერილებისთვის, საკრედიტო რისკის მაქსიმუმი ვალდებულების ოდენობაა.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი კომპანიის საქმიანობის ერთადერთი უდიდესი რისკია; ამიტომ, ხელმძღვანელობა ყურადღებით ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვას.

რისკის მართვის მიზნებისთვის საკრედიტო რისკის შეფასება რთულია და გულისხმობს მოდელების, მოსალოდნელ ფულად ნაკადებსა და დროის გამოყენებას, რადგან რისკი იცვლება საბაზრო პირობების მიხედვით. აქტივების პორტფელის საკრედიტო რისკის შეფასება მოიცავს დეფოლტების ალბათობის დამატებით შეფასებას, ისევე როგორც დაკავშირებული განაკვეთებისა და პარტნიორებს შორის დეფოლტის კორელაციის შეფასებას.

ზღვრები. კომპანია თავისი საკრედიტო რისკის სტრუქტურას ქმნის მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან გეოგრაფიულ და დარგობრივ სეგმენტებთან დაკავშირებით მისაღები რისკის ზღვრის დაწესებით. როგორც წესი, ხელმძღვანელობა ამტკიცებს პროდუქტებისა და სამრეწველო დარგების მიხედვით საკრედიტო რისკის ზღვრებს. მსგავსი რისკების მონიტორინგი რევოლვურ საფუძველზე ხორციელდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო ხშირ მიმოხილვას.

საკრედიტო ზღვრები ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ ანალიზს ექვემდებარება და მის მიერვე მტკიცდება. საკრედიტო რისკის არსებობის მონიტორინგის განსახორციელებლად, იქმნება რეგულარული ანგარიშები სტრუქტურირებული ანალიზის საფუძველზე, რომელიც ორიენტირებულია კლიენტის ბიზნეს და ფინანსურ წარმადობაზე. ნებისმიერი მნიშვნელოვანი ურთიერთქმედება მომხმარებელთან უარყოფითი კრედიტ უნარიანობით, მოხსენებულია და განხილულია ხელმძღვანელობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს კონტრაჰენტების წარმადობას და თვალყურს ადევნებს ვადაგადაცილებულ ნაშთებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. *ECL* არის სამომავლო ფულადი ნაკადების ნაკლებობის ახლანდელი ღირებულების ალბათობით შეწონილი შეფასება (მაგ., საკრედიტო ზარალის შეწონილი საშუალო, სადაც შეწონვისთვის გამოყენებულია მოცემული დროის პერიოდში დეფოლტის რისკების ხდომილებები). ECL-ის შეფასება მიუკერძოებელია და განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის განსაზღვრით. ECL-ის შეფასება ემყარება კომპანიის მიერ გამოყენებულ ოთხ კომპონენტს: დეფოლტის ალბათობა ("PD"), დეფოლტის რისკი ("EAD"), ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") და დისკონტირების განაკვეთი.

დეფოლტის რისკი ('EAD') არის სამომავლო დეფოლტის თარიღით რისკის შეფასება, რომელიც ითვალისწინებს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოსალოდნელი რისკის ცვლილებებს, მათ შორის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს და დამტკიცებული საკრედიტო ხაზის მოსალოდნელ ათვისებას. PD არის დეფოლტის ალბათობის შეფასება, რომელიც მოსალოდნელია რომ მოხდეს დროის მოცემულ პერიოდში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ("LGD") არის დეფოლტის დროს წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეფუძნება სხვაობას მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელსაც მოსალოდნელია, რომ გამსესხებელი მიიღებს, უზრუნველყოფიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადის ჩათვლით. როგორ წესი, ის გამოისახება, როგორც EAD-ის პროცენტი.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა ქმნის *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL* მოდელს, რაც გულისხმობს ზარალს, რომელიც წარმოიქმნება ამ ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი მომსახურების ვადის პერიოდში ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევაში. *12-თვიანი ECL* წარმოადგენს *მომსახურების ვადის განმავლობაში ECL*-ის ნაწილს, რაც განპირობებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში, ან ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი *მომსახურების ვადის პერიოდში*, თუ ეს წელზე ნაკლებია, ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული დეფოლტის შემთხვევებით.

ECL, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ამ ფინანსური ინსტრუმენტებისთვისაა შეფასებული, წარმოადგენს შეფასებას დროის მომენტში, ნაცვლად ციკლის განმავლობაში შეფასებებისა, რომლებიც საზოგადოდ გამოიყენება რეგულირების მიზნებისთვის. ამ შეფასებებში ითვალისწინებენ *პერსპექტიულ ინფორმაციას*, ანუ ECL ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების, რომლებიც გავლენას ახდენენ საკრედიტო რისკზე, ალბათობით შეწონილ ცვლილებას.

PD შეფასების მიზნებისთვის, კომპანია საზღვრავს დეფოლტს, როგორც სიტუაციას, რომელიც ერთ ან რამოდენიმე ჩამოთვლილ კრიტერიუმს შეესაბამება:

- მსესხებელმა 90 დღეზე მეტი გადააცილა გადახდის სახელშეკრულებო ვადებს;
- მსესხებელი ხვდება ნაკლებსავარაუდო გადამხდელის სიაში:
  - მსესხებელი გარდაცვლილია;
  - მსესხებელი გადახდისუუნაროა;
  - სავარაუდოა, რომ მსესხებელი გაკოტრდება.

გამჟღავნების მიზნებისთვის კომპანიის დეფოლტის განმარტება სრულად მიესადაგება გაუფასურებული კრედიტის მქონე აქტივების განმარტებას. ზემოთ მოცემული განმარტება გამოიყენება კომპანიის ყველა სახის ფინანსური აქტივებისთვის.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას ახორციელებს ინდივიდუალურ საფუძველზე, ყველა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის.

ECL-ის ინდივიდუალურად შეფასება ხორციელდება შეფასებული საკრედიტო ზარალის სხვადასხვა შესაძლო შედეგის შეწონვით თითოეული შედეგის დადგომის ალბათობასთან. კომპანია განსაზღვრავს სულ მცირე ორ შესაძლო შედეგს თითოეული შეფასებული სესხისთვის, საიდანაც ერთ-ერთი განაპირობებს საკრედიტო ზარალს, თუნდაც მსგავსი შედეგის ალბათობა ძალიან დაბალი იყოს.

როგორც წესი, ECL არის საკრედიტო რისკის შემდეგი პარამეტრების ნამრავლი: EAD, PD და LGD (რომლებიც განმარტებული და ახსნილია ზემოთ), რომელიც ახლანდელ ღირებულებამდე დისკონტირდება ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით. ECL განისაზღვრება საკრედიტო რისკის პარამეტრების წინასწარი შეფასებით (EAD, PD და LGD) თითოეული სამომავლო [თვე / წელი]-სა და მომსახურების ვადის პერიოდისთვის, თითოეული რისკის ან კოლექტიური სეგმენტისთვის. ეს სამი კომპონენტი ერთმანეთზე მრავლდება და შესწორდება გადარჩენის ალბათობით (ანუ, რისკი დაიფარა ან დეფოლტს ჰქონდა ადგილი გასულ თვეში). ასე ეფექტურად გამოითვლება ECL თითოეული სამომავლო პერიოდისთვის, რომელიც შემდეგ დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღამდე და ჯამდება. ECL-ის გამოთვლებში გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი არის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ან მისი მიახლოებითი მნიშვნელობა.

ECL მოდელებში ჩართული პერსპექტიული ინფორმაცია. ECL-ის გამოთვლა გულისხმობს პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას. კომპანია გამოავლენს გარკვეულ ძირითად ეკონომიკურ ცვლადებს, რომლებიც კორელაციაშია საკრედიტო რისკსა და ECL-თან. საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადები („საბაზისო ეკონომიკური სცენარი“) მიიღება კომპანიის მიერ და წარმოადგენს მოსალოდნელი მაკროეკონომიკური მდგომარეობის საუკეთესო შეფასებას მომდევნო წელში.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) საპროცენტო განაკვეთები და (გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი არის ის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გამო. კომპანიას გააჩნია დომინანტი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევების გავლენის რისკი მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2018 წლის 31 დეკემბერს			2017 წლის 31 დეკემბერს		
ათასი ლარი	მონატარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	პოზიცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს	მონატარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	პოზიცია საანგარიშო პერიოდის ბოლოს
აშშ დოლარი	37,872	11,058	26,814	2,722	30,419	(27,697)
ევრო	8	672	(664)	33	7	26
სულ	**37,880**	**11,730**	**26,150**	**2,755**	**30,426**	**(27,671)**

ზემოთხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. არ განიხილება, რომ ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში და არა-მონეტარულ აქტივებში სავალუტო რისკის არსებით ზრდას გამოიწვევს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა ნაშთები ქართულ ლარში და სხვა ვალუტებში.

მომდევნო ცხრილი წარმოადგენს მოგებისა და ზარალის და ფასიანი ქაღალდების მგრძნობელობას შესაძლო უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების ცვალებადობის მიმართ, რომლებიც გამოყენებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის სამუშაო ვალუტასთან დაკავშირებით, ყველა სხვა მუდმივ ცვლადებთან ერთად:

	2018 წლის 31 დეკემბერს		2017 წლის 31 დეკემბერს	
ათასი ლარი	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა ფასიან ქაღალდებზე	გავლენა მოგებასა და ზარალზე	გავლენა ფასიან ქაღალდებზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით (2016: გამყარება 10%-თ)	5,363	4,558	(5,539)	(5,539)
აშშ დოლარის გაუფასურებაა 20%-ით (2016: გაუფასურება10%-თ)	(5,363)	(4,558)	5,539	5,539
ევროს გამყარება 20%-ით (2016: გამყარება 10%-თ)	(133)	(113)	5	5
ევროს გაუფასურებაა 20%-ით (2016: გაუფასურება10%-თ)	133	113	(5)	(5)

რისკის არსებობა გამოთვლილია იმ ვალუტაში დენომინირებული მხოლოდ მონეტარული ნაშთებისთვის, რომელიც განსხვავდება კომპანიის შესაბამისი საწარმოს სამუშაო ვალუტისგან

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას გააჩნია გავრცელებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობის მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენის რისკი. მსგავსი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაიზარდოს საპროცენტო მარჯა, მაგრამ შეიძლება შემცირდეს ან ზარალი წარმოქმნას მოულოდნელი ცვლილებების შემთხვევაში. ხელმძღვანელობა ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს და ზღვრებს აწესებს საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ფასწარმოქმნის შეუსაბამობის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებით, რომელიც დაჯგუფებულია, საპროცენტო განაკვეთის სახელშეკრულებო გადაფასების ან დაფარვის ვადების მიხედვით.

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	1 წელზე მეტი	არამონეტარული	სულ
2018 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები			-	31,519	51,097	51,095
სულ ფინანსური ვალდებულებები	(2,933)	-	-	(10,323)	-	(13,256)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2018 წლის 31 დეკემბერს		-	-	**21,195**	-	**37,839**
2017 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	18,789	-	-	30,349	-	49,138
სულ ფინანსური ვალდებულებები	(473)	(26,933)	(3,422)	-	-	(30,828)
წმინდა საპროცენტო მგრძნობელობის სხვაობა 2017 წლის 31 დეკემბერს	**18,316**	**(26,933)**	**(3,422)**	**30,349**	-	**18,310**

კომპანიის ყველა სავალო ინსტრუმენტი დატვირთულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთით და ეს განაკვეთი იცვლება ყოველთვიურად.

კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა ან პროცედურები საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვისთვის, რადგან ხემძღვანელობას ეს რისკი უმნიშვნელოდ აქვს მიჩნეული.

2018 წლის 31 დეკემბერს საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით დაბალი რომ ყოფილიყო (2017 წელი: 100 საბაზისო პუნქტით დაბალი), სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 54 ათასი ლარით (2017 წელი: 231 ათასი ლარით) მეტი, ძირითადად შედარებით დაბალი საპროცენტო ხარჯით ცვალებადგანაკვეთიან ვალდებულებებზე. საპროცენტო განაკვეთები 100 საბაზისო პუნქტით მაღალი რომ ყოფილიყო (2017 წელი: 100 საბაზისო პუნქტით მაღალი) სხვა ცვლადების უცვლელად დატოვების შემთხვევაში, წლის მოგება იქნებოდა 51 ათასი ლარით (2017 წელი: 231 ათასი ლარით) ნაკლები, ძირითადად, შედარებით მაღალი საპროცენტო ხარჯით ცვალებადგანაკვეთიან ვალდებულებებზე. მგრძნობელობა გამოთვლილია მხოლოდ ფინანსური იჯარის ვალდებულებებისთვის (2017: მხოლოდ ნასესხები სახსრებისთვის).

კომპანია ახორციელებს საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს თავისი ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთები შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღებით, ხელმძღვანელი პირების მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე:

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

	2018			2017		
წლიური %.	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7%	1%	-	7%	1%	-
გაცემული სესხები	-	-	-	-	0.51%	-
ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	4.64%	-

ზემოთ მოცემულ ცხრილში გამჟღავნებული საპროცენტო განაკვეთები ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტებისთვის.

ზემოთ მოცემულ ცხრილში ნიშანი „-“ ნიშნავს, რომ კომპანიას არ გააჩნია შესაბამისი აქტივი ან ვალდებულება მოცემულ ვალუტაში.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. კომპანიის ლიკვიდურობის პორტფელი მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს (შენიშვნა 13).

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენები ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს,მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება სპოტ-გაცვლითი კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

24 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
ფინანსური იჯარის ვალდებულებები (შენიშვნა 15)	(712)	-	-	(4,805)	(5,518)	(11,035)
სავაჭრო დავალიანებები (შენიშვნა 17)	(2,221)	-	-	-	-	(2,221)
სულ სამომავლო გადახდები, პირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	(2,933)	-	-	(4,805)	(5,518)	(13,256)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ვალდებულებები						
სესხები ფინანსური ორგანიზაციებიდან	-	(3,603)	(3,422)	-	-	(7,025)
სავაჭრო დავალიანებები (შენიშვნა 17)	(473)	-	-	-	-	(473)
ფინანსური მომსახურების დავალიანება	-	(23,330)	-	-	-	(23,330)
სულ სამომავლო გადახდები, პირი თანხის და პროცენტის გადახდების ჩათვლით	(473)	(26,933)	(3,422)	-	-	(30,828)

25 კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისათვის, კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისათვის დივიდენდების გადახდის ოდენობა, შეიძლება აქციონერებს დაუბრუნოს კაპიტალი, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კაპიტალის ოდენობა, რომელიც კომპანიამ მართა 2018 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით იყო 467,420 ათასი ლარი (2017: 305,443 ათასი ლარი).

26 რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ა) რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები

რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებებია, ისინი, რომელთა გაკეთება მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, შემდეგია:

	2018				2017			
ათასი ლარი	1-ელი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ	მე-2 დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	სულ
არაფინანსური აქტივები								
- მიწა და შენობა-ნაგებობები	-	-	252,430	252,430	-	-	216,730	216,730
- ხომალდები, ამწეები და კონტეინერები	-	-	14,315	14,315	-	-	10,784	10,784
- საწარმოო ობიექტები, მოწობილობები და ინფრასტრუქტურა	-	-	85,157	85,157	-	-	62,825	62,825
სულ აქტივები რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებები	-	-	**351,902**	**351,902**	-	-	**290,339**	**290,339**

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა რეალური ღირებულება უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში. რეალური ღირებულების იერარქიის დონეები, რომელთა მიხედვით ხდება რეალური ღირებულების პერიოდული შეფასებების დაჯგუფება, გახლავთ შემდეგი:

26 რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2018 წლის 31 დეკემბერი				2017 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	პირველი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	პირველი	მე-2 დონე	მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
სხვა ფინანსური აქტივები								
- სავაჭრო მოთხოვნები	-	8,591	-	8,591	-	7,275	-	7,275
- სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	106	-	106	-	73	-	73
- ფინანსური იჯარის მოთხოვნები	-	31,518	-	31,518	-	30,349	-	30,349
სულ აქტივები	**-**	**40,215**	**-**	**40,215**	**-**	**37,697**	**-**	**37,697**
ვალდებულებები								
ნასესხები სახსრები								
- ვადიანი სესხი	-	-	-	-	-	7,025	-	7,025
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო დავალიანებები	-	2,221	-	2,221	-	473	-	473
- ფინანსური იჯარის მოთხოვნები	-	11,035	-	11,035	-	-	-	-
- სხვა დარიცხული ვალდებულებები	-	998	-	998	-	1,799	-	1,799
სულ ვალდებულებები	**-**	**14,254**	**-**	**14,254**	**-**	**9,297**	**-**	**9,297**

რეალური ღირებულები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. მცოცავი განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, რეალური ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ზოგადად, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება არის მათი საბალანსო ღირებულება. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაჰენტის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკები და დარჩენილი დაფარვის ვადები აქვთ.

27 ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა შეფასების კატეგორიების მიხედვით

შეფასების მიზნებისთვის ფასს 9-ით „ფინანსური ინსტრუმენტები", ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია შემდეგ კატეგორიებად: (ა) ფინანსური აქტივები FVTPL-ით; (ბ) სავალო ინსტრუმენტები FVOCI-ით, (c) წილობრივი ინსტრუმენტები FVOCI-ით და (c) ფინანსური ინსტრუმენტები ამორტიზებული ღირებულებით. FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ორი ქვე-კატეგორია აქვს: (i) აქტივები, რომელთა შეფასება სავალდებულოა FVTPL-ით, და (ii) აქტივები, რომლებიც ამგვარად არის კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას ან შემდგომ. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ცალკე კატეგორიაა. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი შედის ამორტიზირებული ღირებულებით კატეგორიაში.

შეფასების მიზნებისათვის 2017 წ. 31 დეკემბერს ფასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება", შესაბამისად ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებად არის კლასიფიცირებული: (a) სესხები და მოთხოვნები; (b) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (c) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (d) ფინანსური აქტივები FVTPL-ით ("FVTPL"). FVTPL-ით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს ორი ქვე-კატეგორია აქვთ: (i) ამგვარად კლასიფიცირებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ გამიზნული. ამასთან, ფინანსური იჯარის მოთხოვნები ყალიბდება როგორც ცალკე კატეგორია. კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი 2017 წლის 31 დეკემბერს შევიდა სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში. კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზირებული ღირებულების კატეგორიაში შევიდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

28 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ვცელდება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ შესადარის პერიოდზე და ჩასწორდა ფასს 9-ით და ფასს 15-ით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ღირებულებით,ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. ფინანსური აქტივების შემდეგი კატეგორიები არასებობს: (ა) სესხები და მოთხოვნები); (ბ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; (გ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები და (გ) ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული. რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს, თავის მხრივ, ორი ქვეკატეგორია გააჩნია: (i) აქტივები, რომელთაც ეს კლასიფიკაცია ენიჭებათ საწყისი აღიარებისას და (ii) სავაჭროდ ფლობილად კლასიფიცირებული.

სესხები და მოთხოვნები არის არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასანზღვრადი გადახდებით, გარდა მათისა, რომელთა ახლო მომავალში გაყიდვაც კომპანიას აქვს განზრახული. კომპანიის სესხები და მოთხოვნები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს „სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს" და „ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს".

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (a) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს ასევე ფინანსურ წარმოებულებს და (b) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (ფინანსური შემოსავლის ან ფინანსური დანახარჯების სახით) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს „სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს" და „ნასესხებ სახსრებს" ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური იჯარის მოთხოვნები. გაუფასურების ზარალი მოგება-ზარალში მაშინ აღიარდება, როდესაც ის წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად („ზარალის გამომწვევი მოვლენები"), რომელიც მოხდა ფინანსური იჯარის მოთხოვნების თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

28 სააღრიცხვო პოლიტიკა 2018 წლის 1 იანვრამდე (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება; როდესაც მოსალოდნელია, რომ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შემოვა საწარმოში; და როდესაც კომპანია თითოეული საქმიანობისათვის დაკმაყოფილდება სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი. როდესაც შეუძლებელია ბარტერული გაცვლისას მიღებული საქონლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, ამონაგები ფასდება გადაცემული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება, კონკრეტული ოპერაციის შესრულების ეტაპის მინიშნებით, რაც ფასდება ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების წილით მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

მმართველობითი ანგარიშგება – საქმიანობის მიმოხილვა 2018

1. საწარმოს ბიზნესის განვითარება, წარმადობა და მდგომარეობა:

ზოგადი ინფორმაცია: სს კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური (შემდგომში „კომპანია") დარეგისტრირდა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი 1999 წელს და 2004 წლის 27 სექტემბერს, რეორგანიზების შედეგად გარდაიქმნა საქართველოს მთავრობის საკუთრებაში მყოფ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს). 2008 წლის 3 აპრილს, კომპანია რეორგანიზების შედეგად გარდაიქმნა ქართულ რეგულაციებთან შესაბამის სააქციო საზოგადოებად და რეგისტრირებულია ფოთის სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდით: 215080999.

ძირითადი საქმიანობა: სტრატეგიულად განლაგებული ფოთის საზღვაო ნავსადგური საქართველოში ყველაზე დიდი ნავსადგურია, რომელიც ამუშავებს თხევად და მშრალ ტვირთს, კონტეინერებსა და ბორნებს. მას 15 ნავმისადგომი აქვს, ნავმისადგომის ჯამური სიგრძით 2,900 მეტრი. ნავსადგური ამჟამად წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის გასასვლელს ევროპაში საქართველოსთვის, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის და იდეალურადაა განლაგებული იმისათვის, რომ სამომავლოდ გახდეს ცენტრალური აზიის სავაჭრო საკვანძო ნავსადგური.

შემოთავაზებული მომსახურების გაყიდვები. კომპანიის მიერ შემოთავაზებული მომსახურებების ჩამონათვალი შემდეგია:

- საზღვაო და სანავმისადგომო
- გემიდან და გემზე ტვირთის გადმოტვირთვა და დატვირთვა
- კონტეინერების სასაწყობე ტერიტორიის მართვა
- ტვირთისა და კონტეინერების შენახვა
- დოკინგი
- ბორანი
- ტრანსპორტის გადამზიდი ბორანი

15 ნავმისადგომიდან 8 საოპერაციო იჯარით არის გაცემული და ამით კომპანია მის საიჯარო შემოსავალს გამოიმუშავებს

ათასი ლარი

	ამონაგების კატეგორია	ოდენობა
1	ამონაგები კონტეინერებიდან და საერთო ტვირთიდან	74,443
2	ამონაგები საზღვაო მომსახურებიდან	37,951
3	ამონაგები სასაწყობე ტერიტორიის მართვიდან	16,935
4	ამონაგები იჯარიდან	16,622
5	ამონაგები დამატებითი მომსახურებებიდან	4,098

წარმადობა. ფოთის საზღვაო ნავსადგურს გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდა ჰქონდა და ამ ზრდის გაგრძლების საფუძველი ისევ არის.

2018 წელს, კომპანიამ აღრიცხა საოპერაციო ამონაგები 150,049,729 ლარის ოდენობით. წმინდა მოგების ოდენობამ 57,800,000 ლარი შეადგინა, რაც 3%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით. თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 858, მათ შორის 93 ქალი (2017: 891, მათ შორის 93 ქალი)

ამონაგები 8%-ით მეტია 2017 წელთან შედარებით და შესაბამისობაშია გაზრდილი მოცულობის ბრუნვასთან.

2018 წელს ბრუნვის გაზრდის მთავარი მიზეზებია:

1. რეგიონალურმა სტაბილურობამ გააუმჯობესა საქართველოსა და კავკასიის დერეფანში ტვირთის გადაადგილების საფუძვლები;
2. საწვავის ფასის ზრდამ ნავთობპროდუქტების მწარმოებელ ქვეყნებს მეტი საშუალება მისცა ინფრასტრუქტურულ პროექტებში ინვესტირებისთვის, რის შედეგადაც გაიზარდა კომერციული გარიგებების რაოდენობა;
3. ნავსადგურის შესაძლებლობების გაზრდამ და მომსახურების ხარისხის გამოსწორებამ, გააუმჯობესა მომხმარებელთა ფასეული წინადადებები და ამით დამატებითი ბიზნესები მოიზიდა.

2. საწარმოს სამომავლო განვითარების გეგმები:

ნავსადგურის მისწრაფების, გახდეს კავკასიის რეგიონის მთავრი კარიბჭე, მხარდასაჭერად კომპანიამ წარადგინა ამჟამინდელი ლოკაციის ჩრდილოეთით გაფართოების პროექტი. პროექტი მოიცავს დამატებითი, 1,600 მეტრიანი ტალღთმტეხის, 700 მეტრიანი სანაპირო ნავმისადგომისა და 25 ჰექტარი სასაწყობე ტერიტორიის მშენებლობას თანამედროვე სამუშაო მოწყობილობებითა და ზედსტრუქტურებით.

გაფართოების პროექტი მიმართულია ორივე, ნაყარი მშრალი და საკონტეინერო ტვირთებისკენ და საშუალებას მისცემს ნავსადგურს მოემსახუროს 250 მ. საერთო სიგრძის და 13.5 მ. სიღრმის წყალშიგის მქონე გემებს და ამით ნავსადგურს საშუალებას ეძლევა გაუმჯობესებული სამომხმარებლო წინადადებების შეთავაზებისთვის უფრო დიდი ტევადობის გემებისა და ოპტიმიზირებული დამუშავების ღირებულების გამოყენებისა.

პროექტის მშენებლობის დაწყების თარიღი 2020 წლის დასაწყისია, მოსალოდნელი დასრულების თარიღი 2021.

3. საწარმოს მიერ შესრულებული კვლევის და განვითარების მიმოხილვა:

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევისა და განვითარების აქტივობებში.

4. საწარმოს ფილიალების შესახებ ინფორმაცია:

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები და მისი ადგილმდებარეობა ფოთში, საქართველოშია.

5. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები:

	'000 ლარი	2018	2017	განსხვავებების განმარტება
1	ამონაგები	150,049	139,403	გაზრდილი ბრუნვა
2	მთლიანი შემოსავალი	91,815	87,870	გაზრდილი ბრუნვა
3	წმინდა შემოსავალი	57,800	55,856	გაზრდილი ბრუნვა
4	მთლიანი შემოსავლის მარჟა	61%	63%	სარეალიზაციო ღირებულების ზრდა

მთავარი არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზი შემდგეგია:

		2018	2017
1	გემების შემოსვლის რაოდენობა	სულ: 768 PSPC: 457 მოიჯარეები: 311	სულ: 927 PSPC: 515 მოიჯარეები: 412
2	TEU**-ს რაოდენობა	363,936	318,762
3	თანამშრომელთა რაოდენობა 31 დეკემბერს	832	891
4	საერთო ტვირთის ტონაჟი	941,728	1,275,910

***TEU= ოცფუტიანის ექვივალენტი კონტეინერი*

(i) ურთიერთობა თანამშრომლებთან. კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 800-დან 900-მდე ფარგლებშია. კომპანიას გააჩნია კარგი სტრუქტურული დასაქმების პოლიტიკა და მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატები არიან კომპანიის მიერ დასაქმებული.

როგორც დამსაქმებელი, კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური შესანიშნავ დაწინაურების შესაძლებლობას, დადებით სამუშაო გარემოსა და კონკურენტუნარიან ხელფასს სთავაზობს შრომისმოყვარე ადამიანებს იქ, სადაც თანამშრომლების უფლებები კარგად არის დაცული.

(ii) ურთიერთობები მომწოდებლებთან და მომხმარებლებთან. კომპანიამ ძლიერი პროფესიონალური ურთიერთობა ჩამოაყალიბა კლიენტებთან, ერთგულების და კლიენტზე ზრუნვის გამოხატვით.

(iii) ურთიერთობა საგადასახადო ორგანოსთან. კომპანიის საგადასახადო აღრიცხვის სისტემა კარგად ჩამოყალიბებული და მართულია. კომპანიის ბუღალტერიის დეპარტამენტი დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციისა და საკმარისი გამოცდილების მქონე თანამშრომლებით, რომლებიც რეგულარულად ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგებს, რათა საქმის კურსში იყვნენ საგადასახადო კანონმდებლობის იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც კომპანიაზე გავლენას ახდენენ.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შესყიდვასთან დაკავშირებით:

2018 წელს კომპანიას არ შეუძენია საკუთარი აქციები.

7. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები:

2018 წელს კომპანია დათანხმდა უკეთეს საკრედიტო პირობებს გარკვეული რაოდენობის მომწოდებლებთან და შედეგად საკრედიტო ზღვრის პერიოდი გაიზარდა 0-დან 30 დღემდე.

8. საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და მათი მართვის მექანიზმები:

კომპანიის გაყიდვების უმეტესობა საბანკო გადარიცხვებით იწარმოება, კლიენტისთვის მომსახურების გაწევამდე; აქედან გამომდინარე, მოთხოვნების ამოღებას არანაირი დაბრკოლება არ აქვს. საკრედიტო პირობები კლიენტებთან 0-დან მიმდინარე თვეს+15 დღის ფარგლებშია.

9. მთავარი რისკები და გაურკვევლობები, საწარმოოს მიზანი და ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა

საკრედიტო რისკის კონცენტრაცია

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს საკრედიტო რისკების გამოვლენას და მონიტორინგს. 2018 წლის 31 დეკემბერს და 2017 წლის 31 დეკემბერს, კომპანიას არ ჰყავდა პარტნიორი, რომელსაც ჰქონდა კომპანიის კაპიტალის 10%-ზე მეტი ლარი აგრეგირებული მოთხოვნების ნაშთი.

კომპანიის საბანკო დეპოზიტები ორ ბანკშია განთავსებული, რითაც კომპანიას გააჩნია შეზღუდული საკრედიტო რისკის კონცენტრაცია.

საბაზრო რისკი

კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება (ა) უცხოური ვალუტის ღია პოზიციების, (ბ) პროცენტით დატვირთული აქტივების და ვალდებულებების (გ) წილობრივი პროდუქტებისგან, რომლებიც ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო მოძრაობებს. ხელმძღვანელობა აწესებს ზღვრებს რისკების ღირებულებაზე, რომელიც შეიძლება იყოს მიღებული, და მასზე ხორციელდება მონიტორინგი ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზღვრებს გარეთ მოვლენების და უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო მოძრაობების მიზეზით ზარალს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ეფუძნება ფაქტორში ცვლილებას მაშინ, როდესაც სხვა ფაქტორები უცვლელია. ნაკლებსავარაუდოა რომ პრაქტიკაში ასე მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან დაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებები.

პოლიტიკური რისკი

კომპანიის საქმიანობის სპეციფიურობის გამო, კომპანიის სამომავლო წარმადობა მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებში პოლიტიკურ სიტუაციასთან.

სავალუტო რისკი

არის ის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება მერყეობა უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების ცვლილებების გამო. კომპანიას გააჩნია დომინანტი უცხოური ვალუტის გაცვლის კურსების რყევების გავლენის რისკი მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკთან დაკავშირებით ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს ვალუტის მიხედვით და მთლიანობაში. მისი მონიტორინგი ყოველთვიურად ხორციელდება. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2018 წლის 31 დეკემბერს			2017 წლის 31 დეკემბერს		
ათასი ლარი	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	მონატარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	37,872	11,058	26,814	2,722	30,419	(27,697)
ევრო	8	672	(664)	33	7	26
სულ	37,880	11,730	26,150	2,755	30,426	(27,671)

კლაუს ჰოლმ ლოურსენი
მმართველი დირექტორი

ანდრეას ჰოხი
ფინანსური დირექტორი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190991465
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.08.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული. კომერციული ფართი #4
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	597999990
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	28940754982319

ორიათას ცხრამეტი წლის ოცდაერთ აგვისტოს მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში. რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 112.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 114 (ასთოთხმეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ცხელ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18